186
1970

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2

მარტი—აპრილი

1970 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2 მარტი—აპრილი 1970 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

30. „საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 ნოემბრის № 690 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე.

31. მარცვლეული კულტურების სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდების შექმნის შესახებ.

32. საქართველოს სს რესპუბლიკაში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილებები

33. კოლექტიური მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობის შემოწმების შედეგების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

34. „ყოფაცხოვრების სამსახურის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნის დამტკიცების შესახებ.

35. საქართველოს სს რესპუბლიკაში პურ-ფუნთუშეულისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოების საქმეში პარალელიზმის აღმოფხვრის შესახებ.

№ 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

36. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიული ძეგლის — შატილის ციხე-სიმაგრის ნაკრძალად გამოცხადებისა და მისი კეთილმოწყობის შესახებ.

37. აკრძალულ კუსტარულ სარეწთა სიაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

38. საქართველოს სსრ მმაჩის ორგანოებში სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრებისა და მეტრიკული დავთრების შენახვის პირობების, აგრეთვე სახელმწიფო არქივში შესანახად ამ დავთრების გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

39. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტექნიკური სამმართველოს ტექნიკურ განყოფილებად გარდაქმნის შესახებ.

40. ასაღებ შენობათა და ნაგებობათა დაშლის მოწესრიგების შესახებ.

41. ორგანიზაცია-დაწესებულებათა და მოქალაქეთა მიერ საკოლმეურნეო ტყით არაპირდაპირი სარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ.

42. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის შემადგენლობის შევსების შესახებ.

43. საქართველოს სსრ ადვოკატთა შრომის ანაზღაურების დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

44. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 14 აგვისტოს № 495 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

45. საწარმოთა ჯგუფებისათვის საერთო ობიექტების მშენებლობის დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შესახებ.

46. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.

47. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 10 დეკემბრის № 940 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 12 დეკემბრის № 817 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

48. ქ. რუსთავის მრეწველობის პერსპექტიული განვითარების შესახებ.

49. მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

30 „საქართველოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 ნოემბრის № 690 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„იმ მომუშავე პენსიონერებისათვის, რომლებიც პენსიას იღებენ მოხუცებულობის გამო, სახელმწიფო პენსიების მიცემის წესის შეცვლასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 31 დეკემბრის № 996 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1970 წლის 1 იანვრიდან „საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 ნოემბრის № 690 დადგენილების მე-14 პუნქტის მე-7 აბზაცი.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 31 დეკემბრის № 996 დადგენილებით ძალადაკარგულად ცნობილია „კაპიტალური მშენებლობის კადრებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 იანვრის № 42 დადგენილების № 5 დანართის მე-4 პუნქტის ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც უნდა მიეცეთ პენსიები სასწავლო კომბინატების (ტექნიკური სკოლების, სასწავლო პუნქტების) და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მასწავლებლებს, რომლებიც ამზადებენ კადრებს მშენებლობისათვის, აგრეთვე საწარმოო სწავლების ოსტატებს. აღნიშნული დადგენილება დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 28 თებერვლის № 98 დადგენილებასთან ერთად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 7 აპრილი, № 175.

ეროვნული ბიბლიოთეკა

31 მარცვლეული კულტურების სამეურნეოებათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდების შექმნის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ რაიონების, ოლქისა და ავტონომიური რესპუბლიკების პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა შეასუსტეს კონტროლი კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში მარცვლეული კულტურების სათესლე ფონდების შექმნისადმი. ზოგიერთი მეურნეობა არ გამოყოფს საჭირო რაოდენობის თესლს საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვის გეგმების შესასრულებლად, არ ქმნის სადაზღვევო ფონდებს სტიქიური უბედურების შემთხვევაში ფართობების ხელმეორედ დასათესად. ცოტა როდია იმის ფაქტი, როდესაც მეურნეობები გამოყოფენ და დასათესად იყენებენ დაბალი ხარისხის ჯიშიან თესლს, რაც მოსავლიანობის შემცირებას იწვევს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, აგრეთვე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო მეურნეობების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ჩაითვალოს მტკიცე წესრიგის დამყარება მარცვლეული კულტურების მაღალხარისხოვანი თესლის ფონდების შექმნაში. ამ ფონდების გამოყოფისას გაითვალისწინონ, რომ საჭიროა სრულად დაკმაყოფილდეს თვითეული მეურნეობის მოთხოვნილება თესლზე მომავალი წლის მოსავლისათვის, უზრუნველყოფილ იქნეს თესვა მხოლოდ დარაიონებული ჯიშის შერჩეული თესლით, შეიქმნეს საჭირო რაოდენობის სადაზღვევო ფონდები, რომლებიც ყოველწლიურად უნდა განახლდეს სტიქიური უბედურების შემთხვევისათვის.

2. მიღებულ იქნეს კოლმეურნეობათა რესპუბლიკური საბჭოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და დამზადების სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ შეიქმნას ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში მარცვლეული კულტურების სამეურნეობათაშორისო (საკოლმეურნეობათაშორისო და საბჭოთა მეურნეობებსშორისო) სადაზღვევო სათესლე ფონდები 10 ათასი ტონის რაოდენობით. 1970 წლის მოსავლიდან დაწყებული ყოველწლიურად ორ-ორი ათასი ტონა, რაც განაწილდეს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის და რაიონების მიხედვით, დანართის თანახმად. გამოყენებულ იქნეს ეს ფონდები იმისათვის, რომ დახმარება გაეწიოს თესლით სტიქიური უბედურების შემთხვევაში კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო მეურნეობებს.

მარცვლეული კულტურების სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდები შეიქმნება ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რაიონებში იმ მიზნობრივი შენატანების ხარჯზე, რომლებიც თვითეული მეურნეობისაგან შემოდის (ფასგადაუხდელად) პურის მიმღებ საწარმოებში. სათესლე მარცვლის (ხოლო თუ სათესლე მარცვალი არ მოიპოვება — სხვა მაღალხარისხოვანი მარცვლის) ეს შენატანები იწარმოებს მანამ, ვიდრე სრულად არ შეიქმნება აღნიშნული ფონდები დაწესებული რაოდენობით და იმ წესით, რასაც განსაზღვრავენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირობების გათვალისწინებით.

სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდებში მარცვლის მიზნობრივი შენატანები იწარმოებს მას შემდეგ, რაც მეურნეობები შექმნიან საკუთარ სათესლე ფონდებს, შეასრულებენ სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის გეგმას, დაფარავენ სახელმწიფოსადმი ნატურალურ სესხთა დავალიანებას და შექმნიან თესლის საკუთარ სადაზღვევო ფონდებს.

მარცვლის მიტანა პურისმიმღებ საწარმოებში სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდების შესაქმნელად წარმოებს მეურნეობათა ძალებითა და საშუალებებით და მათ ხარჯზე.

3. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს ორი კვირის ვადაში აცნობონ სადაზღვევო სათესლე ფონდების შექმნის გეგმა კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო მეურნეობებს.

4. დაწესდეს, რომ თესლის მიცემა სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდებიდან კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებისათვის, რომლებიც სტიქიური უბედურებით დაზარალდნენ, წარმოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით სესხის წესით, რასაც დაერიცხება სესხად გაცემული თესლის ყოველ 100 ცენტნერზე 10 ცენტნერი.

დარიცხული მარცვლის რაოდენობა, კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებისაგან მისი შემოსვლის კვალობაზე, გაიგზავნება პურის საერთო-სახელმწიფო რესურსებში, რათა პურის მიმღებ საწარმოებს აუნაზღაურდეთ თესლის მიღების, დამუშავების, შენახვის, გადაზიდვისა და გაცემის ხარჯები.

კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებმა სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდებიდან მათთვის მიცემული სათესლე სესხი დაფარონ მას შემდეგ, რაც ისინი შექმნიან საკუთარ სათესლე ფონდებს, შეასრულებენ სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის, სახელმწიფო რესურსებიდან მიღებულ ნატურალურ სესხთა დაბრუნების გეგმებს და შექმნიან მეურნეობაში თესლის საკუთარ სადაზღვევო ფონდებს, მაგრამ არა უგვიანეს იმ წლის 1 დეკემბრისა, რომლის მოსავლისთვისაც გაცემული იყო სესხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა კონტროლი გაუწიონ აღნიშნულ სესხთა დროულად დაფარვას.

5. დამზადების სამინისტრომ ორი თვის ვადაში განიხილოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდების შექმნასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის ფინანსური წყაროების საკითხი და თავისი წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და დამზადების სამინისტრომ ორი თვის ვადაში წარმოადგინონ დასამტკიცებლად სსრ კავშირის დამზადების სამინისტროსთან და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული პროექტი დებულებისა სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო ფონდის შესახებ.

დამზადების სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კონტროლი გაუწიონ სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო ფონდების თესლის სწორად მიღებას, შენახვასა და გაცემას.

7. დამზადების სამინისტრომ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით პურის მიმღებ საწარმოებში იმ ოპერაციების აღრიცხვა და ანგარიშგება, რომლებიც დაკავშირებულია თესლისა და სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდების მიღებასთან და გაცემასთან, აწარმოოს სახელმწიფო რესურსების თესლისა და მარცვლის აღრიცხვისა და ანგარიშგებისაგან განცალკევებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 17 აპრილი, № 201.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 17 აპრილის № 201 დადგენილების დანართი

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

მარცვლეული კულტურების სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდების შექმნისა

რაიონები	სულ ყოველწლიურად 1970-დან 1974 წლამდე ტონობით	მათ შორის		
		გაზაფხულის ხორბალი	გაზაფხულის ქერი	სიმინდი
1. ახალქალაქის	174	24	150	—
2. ბოგდანოვკის	114	8	106	—
3. ახალციხის	8	—	8	—
4. ადიგენის	—	—	—	—
5. ასპინძის	12	—	12	—
6. ხაშურის	12	—	—	12
7. ქარელის	22	—	5	17
8. გორის	49	—	4	45
9. კასპის	36	—	5	31
10. ბორჯომის	—	—	—	—
11. საგარეჯოს	16	—	—	16
12. გურჯაანის	17	—	—	17
13. სიღნაღის	42	—	—	42
14. წიფელწყაროს	43	—	—	43
15. თელავის	13	—	—	13
16. ახმეტის	30	—	9	21
17. ყვარლის	37	—	—	37
18. ლაგოდეხის	40	—	—	40
19. გარდაბნის	31	—	6	25
20. მცხეთის	20	—	5	15
21. მარნეულის	25	—	3	22
22. ბოლნისის	18	—	—	18
23. წალკის	89	15	74	—
24. დუშეთის	23	—	3	20
25. თეთრიწყაროს	11	—	—	11
26. დმანისის	9	—	6	3
27. თიანეთის	6	—	—	6
28 ყაზბეგის	—	—	—	—
29. სამხრეთ ოსეთის ა. ო.	59	5	29	25
30. წყალტუბოს	62	—	—	62
31. სამტრედიის	52	—	—	52

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	სულ ყოველწლიური-ად 1970-1971 წლებში ტონობით	მათ შორის		
		გაზაფხულის ხორბალი	გაზაფხულის ქერი	სიმინდი
32. წულუკიძის	40	—	—	40
33. ვანის	33	—	—	33
34. მაიაკოვსკის	18	—	—	18
35. ზესტაფონის	22	—	—	22
36. თერჯოლის	36	—	—	36
37. ქ. ჭიათურა	21	—	—	21
38. საჩხერის	32	—	—	32
39. ორჯონიკიძის	24	—	—	24
40. ქ. ტყიბული	24	—	—	24
41. ონის	11	—	3	8
42. ამბროლაურის	13	—	—	13
43. ცაგერის	21	—	—	21
44. ლენტეხის	—	—	—	—
45. აბაშის	70	—	—	70
46. ცხაკაიას	32	—	—	32
47. გეგეჭკორის	40	—	—	40
48. ზუგდიდის	52	—	—	52
49. ხობის	45	—	—	45
50. წალენჯიხის	25	—	—	25
51. ჩხოროწყუს	23	—	—	23
52. მახარაძის	60	—	—	60
53. ლანჩხუთის	55	—	—	55
54. ჩოხატაურის	25	—	—	25
55. მესტიის	—	—	—	—
56. აფხაზეთის ასსრ	180	—	—	180
57. აჭარის ასსრ	28	—	—	28
სულ:	2000	52	428	1520

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

32 საქართველოს სს რესპუბლიკაში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესება ხორცის, რძის, მატყლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებით და ღორის გასუქების გაუმჯობესებით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1970 წლის 1 მაისიდან საქართველოს სსრ ყველა რაიონისათვის ერთიანი შესასყიდი ფასები რძისა და ნაღებისა, აგრეთვე ნაკრებ-გლეხური ყველისა, რომლებსაც კოლმეურნეობები ჰყიდიან რძის შესყიდვის გეგმის ანგარიშში, № 1 დანართის თანახმად.

დაწესდეს იმ რძის, ნაღებისა და ნაკრებ-გლეხური ყველის შესასყიდი ფასები, რომლებსაც ჰყიდიან საბჭოთა მეურნეობები, სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული მეურნეობები და მოსახლეობა, იმ ფასების დონეზე, რაც ამ დადგენილებით დამტკიცებულია კოლმეურნეობებისათვის.

2. დაწესდეს 1970 წლის 1 მაისიდან მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორისა და ცხენის (რომლებიც სახორცედ დასაკლავად იყიდება) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებული ახალი შესასყიდი ფასები (დანამატის გათვალისწინებით) რესპუბლიკის ყველა რაიონის კოლმეურნეობებისათვის, № 2 დანართის თანახმად.

3. დამტკიცდეს 1970 წლის 1 მაისიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული, რესპუბლიკის ზონების მიხედვით დიფერენცირებული შესასყიდი ფასები ცხვრისა და თხისა ნაკვებობის მიხედვით, რომლებსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან კოლმეურნეობები, № 3 დანართის თანახმად, შემდეგი ანგარიშით: საშუალოდ რესპუბლიკაში 1250 მანეთი საშუალო ნაკვებობის პირუტყვის ცოცხალი წონის ერთ ტონაში.

4. დაწესდეს შესასყიდი ფასები მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა, ცხვრისა და თხისა, რომლებსაც ჰყიდიან საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული მეურნეობები, აგრეთვე მოსახლეობა, იმ ფასების დონეზე, რაც დამტკიცებულია ამ დადგენილებით კოლმეურნეობებისათვის.

იმ ღორისა და ფრინველის ანაზღაურება, რომლებსაც აბარებენ საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული მეურნეობები, მოხდეს კოლმეურნეობებისათვის დაწესებულ ფასებში.

პირუტყვის ახალი შესასყიდი ფასები დაწესებულია ერთიანი წლის ყველა პერიოდისათვის.

5. გაიცეს, 1970 წლის 1 მაისიდან დაწყებული, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გადიდებული წონის მოზარდეულის შესასყიდი ფასების დანამატები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ყველა რაიონისათვის შემდეგი ოდენობით: 35 პროცენტი — როდესაც ცოცხალი წონა შეადგენს 300-დან 350 კილოგრამამდე და 50 პროცენტი — როდესაც ცოცხალი წონა აღემატება 350 კილოგრამს.

6. მიეცეთ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციულ მეურნეობებს წანამატები პირუტყვისა, ფრინველისა, რძისა, მატყლისა და კვერცხისათვის, რომლებსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან წლიური გეგმის გადამეტებით, — შესასყიდი ფასების 50 პროცენტის რაოდენობით.

პირუტყვისა და ფრინველის აღნიშნული წანამატები მიეცეს დაწესებულ შესასყიდ ფასებზე იმ პირუტყვის სახეობის, ნაკვებობის კატეგორიებისა და წონითი კონდიციების კვალობაზე, რომელიც სახელმწიფოს მიეყიდება მთლიანად შესყიდვის წლიური გეგმის გადამეტებით პირუტყვისა და ფრინველის ყველა სახეობის მიხედვით იმ პირობით, თუ გადიდებულია წლის დამდეგისათვის მეურნეობაში არსებული პირუტყვის სულადობა.

7. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს ის დამატებითი ამონაგები, რაც მიღებული იქნება ამ დადგენილების შესაბამისად მეცხოველეობის პროდუქციის ფასების გადიდებისა და ფასების წანამატების დაწესებისაგან, მოახმარონ უპირატესად მეცხოველეობის მატერიალურ-ტექნიკური და საკვები ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელებას.

8. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ:

ა) დაწესებულია პირუტყვის ახალი შესასყიდი ფასები ნაკვებობის მიხედვით:

უმაღლესი ნაკვებობის მსხვილფეხა რქიან პირუტყვსა, ცხვარსა და თხაზე საშუალო ნაკვებობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრისა და თხის ფასებზე 20 პროცენტით მეტი;

საშუალოზე დაბალი ნაკვებობის მსხვილფეხა რქიან პირუტყვსა, ცხვარსა და თხაზე, საშუალო ნაკვებობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრისა და თხის ფასების 25 პროცენტით ნაკლები, ხოლო მჭლე (არასტანდარტულ) მსხვილფეხა რქიან პირუტყვსა, ცხვარსა და თხაზე — 40 პროცენტით ნაკლები.

ვინაიდან მჭლე პირუტყვის ჩაბარება არ ჩაითვლება სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმის ანგარიშში, რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გააუმჯობესონ პირუტყვის გასუქების ორგანიზაცია და მინიმუმამდე დაიყვანონ სახელმწიფოსათვის მისაყიდი მჭლე, აგრეთვე არასტანდარტული და დაბალი წონის მოზარდეულის რაოდენობა;

ბ) 1970 წლის 1 იანვრიდან გადიდებულია შესასყიდი ფასები ნახევრად ნაზი და მქისე მატყლისა (გარდა კარაკულისა) და ანგორის თხის მატყლისა, რომელსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული მეურნეობები, — საშუალოდ 20 პროცენტით, ხოლო ნახევრადმქისე მატყლისა, რომელსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან კოლმეურნეობები, — საშუალოდ 30 პროცენტით;

კოლმეურნეობებისათვის დაწესებული მატყლის შესასყიდი ფასები გავრცელებულია იმ მატყლზე, რომელსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან საბჭოთა მეურნეობები, სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული მეურნეობები და მოსახლეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს დაუმტკიცა ლა დაამტკიცოს ნახევრადნაზი, ნახევრადმქისე და მქისე მატყლის შესასყიდი ფასების პრეისკურანტი, ამასთან უპირატესად გაადიდოს მატყლის ყველაზე ძვირფასი ასორტიმენტის ფასები;

გ) 1970 წლის 1 მაისიდან დაწესებულია იმ ბოცვრების შესასყიდი ფასები, რომლებსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სხვა მეურნეობები და მოსახლეობა, ქათმის მოქმედი შესასყიდი ფასების დონეზე, ამასთან შენარჩუნებულია ბოცვრის ტყავის დაწესებული წანამატები;

დ) 1970 წლის მოსავლიდან დაწყებული, გადიდებულია თუთის აბრეშუმის ჭიის ჯიშიანი პარკის შესასყიდი ფასები საშუალოდ 30 პროცენტით, რის გამო დაევალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს შეიმუშაოს, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაწილეობით, და ორი თვის ვადაში დაამტკიცოს თუთის აბრეშუმის ჭიის პარკის შესასყიდი ფასების პრეისკურანტები, ამასთან გაითვალისწინოს ამ პრეისკურანტებში საქონლის ყველაზე ძვირფასი ხარისხის ფასების უპირატესი გადიდება;

ე) სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს დაევალა ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინოს წინადადებანი ამ დადგენილებასთან დაკავშირებით ჯიშიანი პირუტყვის ფასების დაზუსტების შესახებ.

9. დაევალოთ სოფლის მეურნეობის, დამზადების, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროებს განახორციელონ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მოსახლეობაში პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდებას უახლოეს დროში; პირუტყვისა და ფრინველის სულადობის ყოველნაირად ზრდას, ჩასაბარებელი პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებას.

10. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს აცნობონ ეს დადგენილება რესპუბლიკის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, ყველა მშრომელს და აწარმოონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ამ დადგენილების დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობის შესახებ.

რჩევა მიეცეთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს განიხილონ სესიებზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მოსახლეობის მატერიალური დაინტერესების გაძლიერების საკითხი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 28 აპრილი № 237.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 28 აპრილის № 237
დადგენილების დანართი № 1

შესასყიდი ფასები

რძისა და ნაკრებ-გლეხური ყველისა, რომლებსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან კოლმეურნეობები

რძე საბაზისო ცხიმიანობისა (ერთ ტონაში)	230 მანეთი
ნაღები 10 პროც. ცხიმისათვის კილოგრამში	45 კაპიკი
ნაკრებ-გლეხური ყველი (კილოგრამში)	
როდესაც ცხიმიანობა უდრის 45 პროცენტს	1 მან. და 55 კაპ.
როდესაც ცხიმიანობა უდრის 50 პროცენტს	1 მან და 70 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 28 აპრილის № 237
დადგენილების დანართი № 2

შესასყიდი ფასები

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა, ღორისა და ცხენისა რესპუბლიკის ყველა რაიონის კოლმეურნეობებისათვის

(მანეთობით და კაპიკობით ცოცხალი წონის ერთ ტონაში)

	უმაღლესი ნაკვეთობისა	საშუალო ნაკვეთობისა	საშუალოზე დაბალი ნაკვეთობისა	მჭლე (არასტანდარტული)
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	1800	1505	1126	900

პირველი კატეგორიის ხბოები ანაზღაურდება საშუალო ნაკვეთობის პირუტყვის ფასებში, ხოლო II კატეგორიის ხბოები საშუალოზე დაბალი ნაკვეთობის პირუტყვის ფასებში

	სახორცე	საბეკონე და მსუქანი	მჭლე (არასტანდარტული) და გოჭები ცოცხალი წონით 6-დან 20 კგ-მდე	ძუძუთა გოჭები ცოცხალი წონით 6 კილოგრამამდე (ერთ კილოგრამში)
ღორი	1955	2295	1564	2–50

	მსუქანი და საშუალოზე მეტი ნაკვეთობისა	საშუალო ნაკვეთობისა	საშუალოზე დაბალი ნაკვეთობისა	კვიცი ერთ წლამდე ასაკისა
ცხენი სახორცე	1530	1279	957	1928

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 28 აპრილის № 237
დადგენილების დანართი № 3

ცხვრის შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასები და ფასების წანამატები

(მანეთობით ცოცხალი წონის ერთ ტონაში)

ზონა და რაიონი	ყველაზე მაღალი ნაკვებობის	საშუალო ნაკვებობის	საშუალოზე დაბალი ნაკვებობის	მჭლე
პირველი ზონა				
აჭარის ასსრ ქედის, შუახევის და ხულოს **რაიონები,** სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის ლენინგორის და ჯავის რაიონები, დუშეთის, ყაზბეგის, ლენტეხის და თიანეთის რაიონები	1790	1490	1120	890
მეორე ზონა				
სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის ზნაურის და ცხინვალის რაიონები, ახალქალაქის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, დმანისის, თეთრიწყაროს, წალკის და ონის რაიონები .	1600	1330	1000	800
მესამე ზონა				
აფხაზეთის ასსრ ყველა რაიონი, აჭარის ასსრ ქობულეთის **და** ბათუმის რაიონები, ამბროლაურის, ბოლნისის, გარდაბნის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ყვარლის, ლანჩხუთის, მახარაძის, მაიაკოვსკის, მცხეთის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, წულუკიძის, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, თელავის, ხაშურის, ცაგერის, წალენჯიხის, ცხაკაიას, წყალტუბოს, ჩოხატაურის, ხობის, აბაშის, ქარელის, წითელწყაროს, კასპის, ლაგოდეხის, მარნეულის, ვანის, თერჯოლის, ჩხოროწყუს რაიონები, ქ. ტყიბული და ჭიათურა	1100	920	690	550

ცხვრის ერთ წლამდე მოზარდეული ანაზღაურდება (კანქვეშა ქონის სისქის მიუხედავად) საშუალო ნაკვებობის ცხვრის ფასებში, როდესაც ცოცხალი წონა არ არის 28 კილოგრამზე ნაკლები. ისეთი მატყლიანი და ნახევრადმატყლიანი ცხვარი, რაც ვერ აკმაყოფილებს საქურქე ტყავის სტანდარტებს, აგრეთვე დაბალმატყლიანი ცხვარი ანაზღაურდება შესასყიდი ფასიდან 10 პროცენტის ჩამოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

33 კოლექტიური მეგალეობის ამხანაგობათა საქმიანობის შემოწმების შედეგების შესახებ

ამონაკრები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ქ. თბილისის ლენინის, პირველი მაისის, კიროვის და 26 კომისრის სახელობის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების, აგრეთვე ქუთაისისა და რუსთავის საქალაქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების, პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების თავმჯდომარეების ყურადღება მიექცეს იმას, რომ ისინი დამაკმაყოფილებელ კონტროლს ვერ უწევენ კოლექტიური მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობას.

2. დაევალოთ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს, ლენინის, პირველი მაისის, ორჯონიკიძის, კალინინის, კიროვის, ოქტომბრის, 26 კომისრის სახელობის, გარდაბნის, საგარეჯოს, თეთრი წყაროს, მცხეთისა და კასპის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს, აგრეთვე ქუთაისის და რუსთავის საქალაქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს, პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების თავმჯდომარეებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) შეამოწმონ თითოეული საწარმოსა და ორგანიზაციის მებაღეობის ამხანაგობის საქმიანობა, უმოკლეს დროში განიხილონ შედეგები და მიიღონ ქმედითი ზომები დარღვევებისა და დამახინჯებების აღმოსაფხვრელად.

მკაცრად დასაჯონ თანამდებობისა და სხვა პირები, ვინც უხეშად არღვევს მებაღეობის ამხანაგობის წესდებას, უკანონოდ აშენებს აგარაკებსა და ინდივიდუალურ კაპიტალურ სახლებს, აგრეთვე თვითნებურად დაიკავეს ნაკვეთები, შეიმოღობეს იგი და მიიღეს ამხანაგობის წევრებად ისეთი პირები, რომლებიც არ მუშაობენ ამ საწარმოში ან ორგანიზაციაში;

ბ) აკრძალონ და შემდეგში აღარ დაუშვან აგარაკებისა და კაპიტალური ინდივიდუალური სარგებლობის სახლების მშენებლობა, მიიღონ გადამჭრელი ზომები აგარაკებისა და უკანონოდ აშენებული ინდივიდუალური სახლების ჩამორთმევისათვის, ამ მიზნით აღძრან სასამართლოში საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 107 მუხლის შესაბამისად საქმეები მათი ჩამორთმევის შესახებ.

ჩამორთმეული ნაგებობები იჯარით გადასცენ მებაღეობის ამხანაგობებს საერთო სარგებლობისათვის.

გ) მომავალში კოლექტიური მებაღეობის ამხანაგობებისათვის მიწების გამოყოფისას მტკიცედ იხელმძღვანელონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის 18 სექტემბრის № 865 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 5 ნოემბრის № 697 დადგენილებებით. ამასთან დაკავშირებით გააუქმონ კოლექტიურ ბაღებში ცალკეულ პირთა მიერ აღმართული ღობეები და ამიერიდან არ დაუშვან ამ ბაღებში მიწის ნაკვეთების გამოყოფა მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალური სარგებლობისათვის;

დ) საწარმოების ადმინისტრაციასა და პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად გადასინჯონ მებაღეობის ამხანაგობების წევრთა სიები და დააყენონ საკითხი ამხანაგობის საერთო კრების წინაშე ამხანაგობის შემადგენლობიდან იმ წევრთა გამოყვანის შესახებ, რომლებიც არ მუშაობენ ამ საწარმოში, ანდა ფლობენ მიწის ნაკვეთებს სხვა ადგილას;

ე) არ დაუშვან ამხანაგობები კოლექტიური ბაღისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ასათვისებლად მანამდე, სანამ საქალაქო საბჭოს აღმასკომი ან რაიაღმასკომი არ დაამტკიცებს კოლექტიური ბაღის ტერიტორიის მოწყობის პროექტს, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს არქიტექტურისა და მშენებლობის, სანიტარული და სახანძრო ზედამხედველობის ორგანიზაციებთან.

ვ) რეგისტრაციაში გაატარონ მათ ტერიტორიაზე არსებულ საწარმოებთან შექმნილი მებაღეობის ამხანაგობების წესდება მას შემდეგ, რაც მას დაამტკიცებს ამხანაგობის საერთო კრება (კონფერენცია), ამასთან განუმარტონ მებაღეობის ამხანაგობებს, რომ ამხანაგობა იძენს წესდებით გათვალისწინებულ უფლებას ამ წესდების რეგისტრაციის მომენტიდან;

ზ) აღკვეთონ მებაღეობის ამხანაგობების მიერ მიწის ნაკვეთების მიტაცება, დაუყოვნებლივ დაუბრუნონ კოლმეურნეობებს და სხვა მიწათმოსარგებლეებს თვითნებურად დაკავებული ყველა ნაკვეთი და მომავალში არ დაუშვან მსგავსი შემთხვევები;

თ) სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად შეისწავლონ მებაღეობის ამხანაგობებისათვის გამოყოფილი მიწების ათვისების მდგომარეობა და დააყენონ ყოფილი მიწათმოსარგებლეებისათვის აუთვისებელი მიწების დაბრუნების საკითხი;

ი) მტკიცე კონტროლი გაუწიონ მებაღეობის ამხანაგობების საქმიანობას, წესრიგი დაამყარონ მათ მუშაობაში და უზრუნველყონ კოლექტიური მებაღეობის გაძღოლის დადგენილი წესის დაცვა.

3. დაწესდეს, რომ შემდგომში კოლექტიური მებაღეობის განვითარების ღონისძიებათა განხორციელებისას მებაღეობის ამხანაგობები ძირითადად უნდა შეიქმნას საწარმოო წამოწყებებსა და ორგანიზაციებში ადგილობრივი პირობებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

4. „კოლექტიური მებაღეობის განვითარებაში სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 12 ივნისის № 23 საოქმო გადაწყვეტილების შესაბამისად რეკომენდაცია მიეცეთ მებაღეობის ამხანაგობებს მათთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ნაცვლად ინდივიდუალური საბაღე სახლებისა, ააშენონ პანსიონატის ტიპის საზაფხულო ნაგებობანი და კოლექტიური სარგებლობის სხვა ნაგებობანი მებაღეობის წევრთა დასასვენებლად, აგრეთვე სხვა კოლექტიური სარგებლობის შენობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომებმა, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა აღმოუჩინონ დახმარება მებაღეობის კოლექტივებს ასეთი მშენებლობის განხორციელებაში;

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს პანსიონატის ტიპის საზაფხულო სახლების პროექტის შედგენა მებაღეობის ამხანაგობებისათვის.

6. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ და გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ" უზრუნველყონ მებაღეობის ამხანაგობებისათვის საბაღე და საბოსტნე ინვენტარის, მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების მიყიდვა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გაუწიოს მებაღეობის ამხანაგობებს აგრონომიული დახმარება ბაღების გაშენებაში, მოვლისა და ხეხილის მავნებლების საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებაში.

7. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ მებაღეობის ამხანაგობების საქმიანობის საკითხი განიხილა საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროომ და კოლექტიური მებაღეობის ამხანაგობების მუშაობაში დარღვევებისათვის ზოგიერთ პირს დაადო პარტიული სასჯელი.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს თბილისის ორჯონიკიძის რაიაღმასკომისა და თბილისის დიმიტროვის სახელობის ქარხნის წარმომადგენელთა მონაწილეობით დააზუსტოს უკანასკნელთა შორის სადავო მიწის საკითხი და უზრუნველყოს მისი ადგილზე მოგვარება.

9. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და კომუნალური მეურნეობის სამინისტროებმა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით შეიტანონ სათანადო ცვლილებანი კოლექტიური მებაღეობის ამხანაგობების ტიპიურ წესდებაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 18 სექტემბრის № 865, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 5 ნოემბრის № 697 დადგენილებათა და ამ დადგენილების შესაბამისად.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ 1970 წლის 15 აპრილისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა შეცვლის ან გაუქმების შესახებ.

11. დაევალოს ქ. თბილისის ლენინის, პირველი მაისის, ოქტომბრის, კალინინის, კიროვის, ორჯონიკიძისა და 26 კომისრის სახელობის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, რუსთავისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს ამ დადგენილების შესრულების ანგარიში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 1 სექტემბრისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 23 მარტი, № 132.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

34 „ყოფაცხოვრების სამსახურის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა სტიმულირებისა და წახალისების მიზნით, დაწესდეს სამკერდე ნიშანი „ყოფაცხოვრების სამსახურის წარჩინებული“.

2. დამტკიცდეს დებულება „ყოფაცხოვრების სამსახურის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნის შესახებ და ნიშნის აღწერილობა, დანართის თანახმად.

3. ნება დაერთოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს დაამზადოს „ყოფაცხოვრების სამსახურის წარჩინებულის“ 10 ათასი სამკერდე ნიშანი.

სამკერდე ნიშნების დამზადებასთან დაკავშირებული ხარჯები გაწეულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 6 მაისის № 343 დადგენილების საფუძველზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 4 მარტი, № 102.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 4 მარტის № 102 დადგენილებით

ტექნიკური აღწერილობა

სამკერდე ნიშნისა „ყოფაცხოვრების სამსახურის წარჩინებული“

ნიშნის ძირითადი ნაწილი მრგვალი ფორმისაა, მისი დიამეტრია 30 მილიმეტრი და სისქე — 2 მილიმეტრი. წრის ცენტრში წვრილმარცვლოვან მუქ ფონზე დაწერილია ასოები „ყს“, რაც ნიშნავს სიტყვას „ყოფაცხოვრების სამსახური“. აღნიშნული ასოების წრეწირში მოჩანს მზის სხივების სტილიზებული გამოსახულება, რომელთა შორის ქვემო ნაწილში განლაგებულია ასოები „სსსრ“. მთელი კომპოზიცია მოჩარჩოებულია წარწერით მუქ წვრილმარცვლოვან ფონზე „ყოფაცხოვრების სამსახურის წარჩინებული“.

ნიშნის ძირითადი ნაწილი შეერთებულია ძეწკვით ოთხკუთხიანი წაგრძელებული ფორმის მის ზედა ნაწილთან, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი.

ზემო ნაწილის მეორე მხარეზე გაკეთებულია ქინძისთავი ნიშნის დასამაგრებლად.

მუნ. 34
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 4 მარტის
№ 102 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა
„ყოფაცხოვრების სამსახურის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნის შესახებ

1. „ყოფაცხოვრების სამსახურის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდებიან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საუკეთესო მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, ამ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები შემდეგი მაჩვენებლებისათვის:

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა და სახეობათა მოცულობის გადიდება;

ჩინებული შედეგები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარებასა და საწარმოთა ქსელის გაფართოებაში, აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დიდი სპეციალიზებული საწარმოების მოწყობაში;

სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოძრავი სახელოსნოების მუშაობის სანიმუშოდ დაყენება;

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში მომსახურების ახალი ფორმების ორგანიზაციის, მასალების მომჭირნეობის, ტექნოლოგიის გაუმჯობესების, რენტაბელობის ამაღლების საქმეში გამოჩენილი ინიციატივა;

საყოფაცხოვრებო მომსახურების რაციონალური სისტემის ორგანიზაცია;

შესრულებულ სამუშაოთა მაღალი ხარისხი და მომსახურების კულტურის ამაღლება;

საწარმოო პროცესების მექანიზაციის მაღალი დონე, მოწყობილობის ეფექტიანად გამოყენება, აქტიური მონაწილეობა რაციონალიზატორულ მუშაობაში, შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვა;

უმწიკვლო მუშაობა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში;

აქტიური მონაწილეობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში;

შრომის ნორმირების, ნედლეულისა და მასალების ხარჯვის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელება;

აღრიცხვისა და კონტროლის სანიმუშოდ დაყენება.

2. „ყოფაცხოვრების სამსახურის წარჩინებულის“ ნიშნით დააჯილდოებენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს კოლეგია და ადგილობრივი მრეწველობის და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებისა და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტების წარდგენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. „ყოფაცხოვრების სამსახურის წარჩინებულის“ ნიშანს გადასცემს საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების ხელმძღვანელი მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე.

4. „ყოფაცხოვრების სამსახურის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოებულს მიეცემა მოწმობა მისი ტარების უფლების შესახებ.

5. „ყოფაცხოვრების სამსახურის წარჩინებულის“ ნიშანი დაჯილდოებულმა უნდა ატაროს მკერდის მარცხენა მხარეს.

6. „ყოფაცხოვრების სამსახურის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოებულ პირებს უფლება აქვთ ატარონ ნიშანი იმის შემდეგაც, რაც ისინი სამუშაოდ გადავლენ სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში ან წავლენ პენსიაზე.

7. დაჯილდოებულის შრომის წიგნაკის განაყოფში „ცნობები წახალისებისა და დაჯილდოების შესახებ“ აღინიშნება „ყოფაცხოვრების სამსახურის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოების შესახებ, აგრეთვე ნომერი და თარიღი დადგენილებისა დაჯილდოების შესახებ.

8. ის პირები, რომლებიც დაჯილდოებული არიან სამკერდე ნიშნით „ყოფაცხოვრების სამსახურის წარჩინებული“, იმყოფებიან სპეციალურ აღრიცხვაზე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

9. „ყოფაცხოვრების სამსახურის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნის ჩამორთმევა წარმოებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს კოლეგიის და საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით ისეთი დანაშაულისათვის, რაც შეუთავსებელია „ყოფაცხოვრების სამსახურის წარჩინებულის“ საპატიო წოდებასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

35 საქართველოს სსრ რესპუბლიკაში პურ-ფუნთუშეულისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოების საქმეში პარალელიზმის აღმოფხვრის შესახებ

აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში დაშვებულია სხვადასხვა უწყებათა საწარმოებში კვების მრეწველობის ზოგიერთი პროდუქციის წარმოების პარალელიზმი.

ქ. სამტრედიაში პურ-ფუნთუშეულისა და საკონდიტრო ნაწარმს უშვებს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს „საქპურტრესტის" პურის ქარხანა და ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების სამმართველოს ქარხანა, რომელთა სადღეღამისო მწარმოებლურობა შესაბამისად 25 და 18 ტონაა. ამ ქარხნების საწარმოო სიმძლავრენი გამოყენებულია მხოლოდ 46-47 პროცენტით, რაც გამოწვეულია პროდუქციის რეალიზაციის შეფერხებით.

ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების სამმართველოს სამტრედიის პურის ქარხანა გამომუშავებულ პროდუქციას ასაღებს ქალაქში განლაგებულ 18 სავაჭრო ობიექტში.

უალკოჰოლო სასმელების ჩამოსხმას პარალელურად აწარმოებენ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო და ცეკავშირი (ცხაკაიას, დუშეთის, თელავის, გურჯაანის და სხვა რაიონებში). ადგილობრივი მრეწველობის კომბინატისა და რაიკოოპკავშირების ხილეული წყლების მეტი წილი საწარმოები ტექნიკურად მოუწყობელია და განლაგებულია შეუფერებელ შენობებში, სადაც შეუძლებელია სანიტარული პირობების დაცვა და ხარისხიანი პროდუქციის გამოშვება.

ზოგიერთი სახეობის კვების პროდუქტების წარმოების საქმეში არსებული პარალელიზმი და ამასთან დაკავშირებული უარყოფითი მოვლენები იმის შედეგია, რომ უხეშად ირღვევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 ივლისის № 410 დადგენილება.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეუთანხმებლად მოაწყო უალკოჰოლო სასმელების რამდენიმე საამქრო (აბაშის, ხობის, საჩხერისა და სხვა რაიონებში).

პურ-ფუნთუშეულისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოების საქმეში არსებული პარალელიზმის აღმოფხვრისა და პროდუქციის რეალიზაციის მოწესრიგების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აეკრძალოს ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების სამმართველოს პურის ქარხნებს, მათ შორის სამტრედიის პურის ქარხანას, პროდუქციის რეალიზაცია ქალაქებში და პურის რეალიზაციის ზონა განესაზღვროს რკინიგზის ხაზზე განლაგებული სამრეწველო საწარმოებითა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებით და ცალკეულ შემთხვევებში — რკინიგზელთა დასახლების ადგილებით, სათანადო რაიონული და საქალაქო აღმასკომების ნებართვით.

2. აეკრძალოთ ყველა სისტემის საწარმოებს, გარდა კვების მრეწველობის სამინისტროს და ცეკავშირის ქარხნებისა, საცალო ქსელში ფუნთუშეულისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკონდიტრო ნაწარმის რეალიზაცია და მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია ქოხმარდეს უშუალოდ საზოგადოებრივი კვების ობიექტების საჭიროებას.

3. კვების მრეწველობის სამინისტრომ გაითვალისწინოს ქ. ცხაკაიაში უალკოჰოლო სასმელების ქარხნის მშენებლობა 1971 წლისათვის.

4. აეკრძალოს საქართველოს სსრ ყველა სამინისტროს და უწყებას საწარმოთა მოწყობა, მათ შორის კვების მრეწველობის ახალ საწარმოთა მოწყობა, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და ფინანსთა სამინისტროსთან შეუთანხმებლად. გაფრთხილებულ იქნენ ისინი, რომ ამ დადგენილების დარღვევისათვის მკაცრად დაისჯებიან დამნაშავე პირები.

5. დამტკიცდეს უალკოჰოლო სასმელების წარმოების ზონების გამიჯვნა ქალაქებისა და რაიონების მიხედვით № 1 დანართის თანახმად.

6. დაევალოს კვების მრეწველობის სამინისტროს, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას:

ა) სრული პასუხისმგებლობა უალკოჰოლო სასმელებზე მოსახლეობის მოთხოვნილების მთლიანად დაკმაყოფილებისათვის;

ბ) სპეციალურად განიხილონ უალკოჰოლო სასმელების საწარმოთა ტექნიკური მდგომარეობის საკითხი და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საწარმოთა სათანადო დანადგარებით აღჭურვა, ტექნოლოგიური და სანიტარული რეჟიმის მტკიცედ დაცვა, პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება და ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესება;

გ) გაამსხვილონ არსებული უალკოჰოლო სასმელების საწარმოები, ხოლო წვრილი, ტექნიკურად გაუმართავი — გააუქმონ.

დ) ურთიერთშეთანხმებით მოახდინონ ექსპლოატაციისათვის ვარგისი უალკოჰოლო სასმელების საწარმოთა ან დანადგართა და საგეგმო მაჩვენებლების მიღება-გადაცემა 1970 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, დადგენილი წესის მიხედვით № 2 დანართის თანახმად.

7. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს განიხილონ და აღმოფხვრან უალკოჰოლო სასმელების წარმოების საქმეში არსებული ნაკლოვანებები და პარალელიზმი.

8. ამ დადგენილებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 18 თებერვლის № 81 და 14 სექტემბრის № 582 დადგენილებები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 9 მარტი. № 108.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 9 მარტის № 108
დადგენილების დანართი № 1

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე უალკოჰოლო სასმელების წარმოების სამოქმედო ზონის გამიჯვნა

1. საქართველოს სსრ კვებების მრეწველობის სამინისტრო	2. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	3. ცეკავშირი
		1. ბოგდანოვკის რაიონი
		2. ახალქალაქის „
		3. ამბროლაურის „
		4. ბოლნისის „
		5. გარდაბნის „
		6. გეგეჭკორის „
		7. გორის „
		8. აბაშის „
		9. ვანის „
		10. თეთრიწყაროს „
		11. ლანჩხუთის „
		12. ლაგოდეხის „
		13. მარნეულის „
		14. მახარაძის „
		კურორტი ურეკი
		15. ორჯონიკიძის რაიონი
		16. საგარეჯოს „
		17. სიღნაღის „
		18. ყვარლის „
		19. ჩხოროწყუს „
		20. ცაგერის „
		21. ცხაკაიას „
		სოფ. ნოსირი „
		22. წალკის „
		23. წითელწყაროს „
		24. ხობის „
		25. ადიგენის „
		26. ბორჯომის „
		კურორტი ბაკურიანი
		27. დმანისის რაიონი
		28. თიანეთის „
		29. თერჯოლის „
		სოფ. ჩხარი
		სოფ. სიმონეთი
		30. ლენტეხის რაიონი
		31. მესტიის რაიონი
		32. დუშეთის „
		სოფ. ჟინვალი
		33. გურჯაანის „
		სოფ. კაჭრეთი
		34. ხაშურის რაიონი
		დაბა სურამი
		35. საჩხერის რაიონი
		36. კასპის რაიონი
		სოფ. ახალქალაქი
		სოფ. იგოეთი
1. ქ. თბილისი	1. ქ. ტყიბული	
2. ქ. რუსთავი	2. ქ. ჭიათურა	
3. ქ. ქუთაისი	3. ქ. დუშეთი	
4. ქ. გორი	4. ქ. კასპი	
5. ქ. ფოთი	5. ახმეტის რაიონი	
6. ქ. ცხაკაია	6. ბორჯომის „	
7. სამტრედიის რაიონი	7. ახალციხის „	
8. ზესტაფონის „	8. ქ. ხაშური	
9. წყალტუბოს „	9. ქარელის რაიონი	
10. ქ. ზუგდიდი	10. ონის „	
11. ზუგდიდის რაიონი	11. თელავის „	
12. მახარაძის „	12. ასპინძის „	
13. წალენჯიხის „	13. გურჯაანის „	
14. მცხეთის „	14. წულუკიძის „	
15. მაიაკოვსკის „	15. ყაზბეგის „	
16. ჩოხატაურის „	16. დაბა თერჯოლა	

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 9 მარტის № 108
დადგენილების დანართი № 2

უალკოჰოლო სასმელების საწარმოთა დასახელება, რომლებიც გადაეცემა სათანადო სისტემებს:

გადაეცემა ცეკავშირისაგან საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს

1. ნაფარეულის უალკოჰოლო სასმელების წარმოება (თელავის რაიონი)
2. ახმეტის უალკოჰოლო სასმელების წარმოება (ახმეტის რაიონი)
3. ყვიბისის უალკოჰოლო სასმელების წარმოება (ბორჯომის რაიონი)
4. ველისციხისა, შაშიანისა და კარდანახის უალკოჰოლო სასმელების წარმოება (გურჯაანის რაიონი)
5. ყაზბეგის უალკოჰოლო სასმელების წარმოება
6. გუბის უალკოჰოლო სასმელების წარმოება (წულუკიძის რაიონი)

გადაეცემა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსაგან ცეკავშირს

1. ხობის უალკოჰოლო სასმელების წარმოება (ხობის რაიონი)
2. აბაშის უალკოჰოლო სასმელების წარმოება (აბაშის რაიონი)
3. საჩხერის უალკოჰოლო სასმელების წარმოება (საჩხერის რაიონი)

გადაეცემა ცეკავშირისაგან საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს:

1. მუხრანის უალკოჰოლო სასმელების წარმოება (მცხეთის რაიონი)
2. ნარაზენის და ინგირის წარმოება (ზუგდიდის რაიონი)
3. სვირისა და არგვეთის წარმოება (ზესტაფონის რაიონი)
4. ლაითურის წარმოება (მახარაძის რაიონი)
5. გეგუთის წარმოება (წყალტუბოს რაიონი)

გადაეცემა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსაგან საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს

1. მცხეთის უალკოჰოლო სასმელების წარმოება (მცხეთის რაიონი)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

36 ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიული ძეგლის — შატილის ციხე-სიმაგრის ნაკრძალად გამოცხადებისა და მისი კეთილმოწყობის შესახებ

შატილის ციხე-სიმაგრის შემდგომი კეთილმოწყობის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე იმ მიზნით, რომ იგი გადაიქცეს მასობრივ სანახაობათა და ტურიზმის კერად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის წინადადება და ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიული ძეგლი—სოფელ შატილის ციხე-სიმაგრე, მიმდებარე ტერიტორიებით გამოცხადდეს ნაკრძალად.

ნაკრძალის ტერიტორიაზე აიკრძალოს ყოველგვარი მშენებლობა, მათ შორის საგზაო, ჰიდროტექნიკური, ნაპირსამაგრი და სხვა საინჟინერო ნაგებობათა მშენებლობა, საქართველოს სსრ მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტთან შეუთანხმებლად.

ნაკრძალის მოვლა-პატრონობა და საერთო ზედამხედველობა დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს შატილის ციხის აზომვითი სამუშაოების დამთავრება იმ ვარაუდით, რომ 1971-73 წლებში განახორციელოს ამ ძეგლის სრული რესტავრაცია.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა საპროექტო ინსტიტუტ „საქსოფლმშენსახპროექტის“ საშუალებით 1970 წელს უზრუნველყოს შატილის განაშენიანების გეგმის შემუშავება — დეტალური დაგეგმარებით, ნაკრძალის ფარგლებში განლაგებული და განსალაგებელი ძირითადი ობიექტების ესკიზებით.

4. ვინაიდან ხევსურეთის თავისებურებანი, რთული რელიეფი და განსაკუთრებული ლანდშაფტი არ იძლევა ტიპობრივი პროექტებისა და ასაწყობი კონსტრუქციების გამოყენების საშუალებას, ნება დაერთოს „საქსოფლმშენსახპროექტს“ შატილის ნაკრძალის ფარგლებში ასაშენებელი ობიექტებისათვის შეიმუშაოს ინდივიდუალური პროექტები.

5. დაევალოს საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოს საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით 1971-73 წლებში შატილში ააგოს 150-ადგილიანი ტურისტული ბაზა-სასტუმროს კომპლექსი, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების სათავსებით როგორც ტურისტების, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

6. დაევალოს ცეკავშირის გამგეობას:

ა) 1971-72 წლებში ააგოს შატილში მაღაზია და პურის საცხობი;

ბ) უზრუნველყოს პირველი მოთხოვნილების საქონლის სისტემატური შეზიდვა შატილში და პირიქითი ხევსურეთის მოსახლეობის რეგულარული მომარაგება ამ საქონლით;

გ) ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მიზნით 1972 წელს შატილში გახსნას ხევსურული ტრადიციული მხატვრული ნაწარმის (სუვენირების) დამამზადებელი სახელოსნო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ და საქართველოს მთავარენერგომ 1970 წლის პირველ ნახევარში წარმოადგინონ წინადადებანი პირველ რიგში შატილის და შემდგომ მთელი პირიქითი ხევსურეთის ელექტროენერგიითა და კავშირგაბმულობით უზრუნველსაყოფად.

8. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრომ დაამთავროს ბარისახო-შატილის გზის მშენებლობა და უზრუნველყოს მოძრაობის გახსნა მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის.

9. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და დუშეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან ერთად 1970 წელს შეისწავლოს პირიქითი ხევსურეთის მოსახლეობის კომპაქტურად დასახლების საკითხი და წარმოადგინოს წინადადებანი არსებული სოფლების გამსხვილებისა და მათი კეთილმოწყობის შესახებ.

10. დაევალოს დუშეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს ბარისახო-შატილის გზის მშენებლობისათვის გამოყოს საჭირო რაოდენობის მუშახელი და უზრუნველყოს ფეთქებად ნივთიერებათა საწყობის დაცვა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 11 მარტი, № 118.

37 აკრძალულ კუსტარულ სარეწთა სიაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 აგვისტოს № 705 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გამოირიცხოს აკრძალულ სარეწთა ნუსხიდან, რომელიც მოყვანილია „ცალკეული კუსტარულ-ხელოსნური სარეწების შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 თებერვლის № 113 დადგენილების I პუნქტში, გვირისტის, კორდონეს, გოფრეს, პლისეს წარმოება და თუნის ნაკეთობათა დამზადება.

2. შეტანილ იქნეს ცვლილებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 თებერვლის № 113 დადგენილების პირველი პუნქტის მე-2 და მე-3 აბზაცებში და ჩამოყალიბდეს ისინი შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამის გარდა აიკრძალოს სარეგისტრაციო მოწმობების გაცემა:

ქალაქებში — საათების, რადიომიმღებების, ტელევიზორებისა და ელექტროხელსაწყოების შეკეთების, საფლავის ძეგლებისა და ფილების დამზადების, საპარიკმახერო და სამანიკიურო რეწვის შესახებ;

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში — საცხოვრებელი სახლებისა და ბინების რემონტის შესახებ“.

3. ნება დაერთოს ფინანსთა მინისტრს მიიღოს გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ მიეცეთ, როგორც გამონაკლისი, პირველი და მეორე ჯგუფის ცალკეულ ინვალიდებს და საპენსიო ასაკის მოქალაქეებს სარეგისტრაციო მოწმობები იმ კუსტარული სარეწების წარმოების უფლების შესახებ, რომლებიც აკრძალულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 თებერვლის № 113 დადგენილებით.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) „საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 ივლისის № 531 დადგენილების მე-10 პუნქტი იმ ნაწილში, რომლითაც ნებადართულია სარეგისტრაციო მოწმობების გაცემა სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 18 თებერვლის № 19/V საოქმო გადაწყვეტილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 12 მარტი, № 122.

ეროვნული ბიბლიოთეკა

38 საქართველოს სსრ მმაჩის ორგანოებში სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრებისა და მეტრიკული დავთრების შენახვის პირობების, აგრეთვე სახელმწიფო არქივში შესანახად ამ დავთრების გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 2 ივნისის № 410 დადგენილებით დამტკიცებულ იმ ძირითად დებულებათა მე-20 პუნქტის შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრავენ სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩანაწერების შეცვლისა და აღდგენის წესს და სააქტო დავთრების შენახვის ვადებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მმაჩის ორგანოებში სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრებისა და მეტრიკული დავთრების შენახვის თანდართული პირობები, აგრეთვე სახელმწიფო არქივში შესანახად ამ დავთრების გადაცემის წესი.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს (ამხ. გ. თავამაიშვილს) მიიღოს საქართველოს სსრ მმაჩის ორგანოებისაგან სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრები და მეტრიკული დავთრები, რომლებსაც გაუვიდათ მმაჩის ორგანოებში შენახვის ვადა (75 წელი).

3. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის არქივების და მმაჩის რაიონული და საქალაქო ბიუროების არქივსაცავების გაწყობა 1970 წლის 1 ივლისამდე, მმაჩის ორგანოებში სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრებისა და მეტრიკული დავთრების შენახვის იმ პირობების შესაბამისად, რომლებიც დამტკიცებულია ამ დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 20 მარტი, № 129

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 20 მარტის № 129
დადგენილებით

საქართველოს სსრ მმაჩის ორგანოებში სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრებისა და მეტრიკული დავთრების შენახვის პირობები, აგრეთვე სახელმწიფო არქივში შესანახად დავთრების გადაცემის წესი

I.

სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრებისა და მეტრიკული დავთრების შენახვა და აღრიცხვა სახელმწიფო არქივებში გადაცემამდე

1. მმაჩის ბიუროს გასული წლის სააქტო დავთრები ჩაბარდება არქივს;

სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები წლის გასვლის შემდეგ სამოქალაქო მდგომარეობის სააქტო ჩანაწერების პირველი ეგზემპლარების დავთრებს ანბანის მიხედვით ჩააბარებენ ხელწერილით მმაჩის რაიონულ ბიუროებს შემდგომი წლის არა უგვიანეს 5 იანვრისა.

სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრები ინახება ქრონოლოგიური წესით ჩანაწერების სახეობათა და თითოეული ქალაქის, რაიონის სასოფლო და სადაბო საბჭოს მიხედვით; მეტრიკული დავთრები ინახება ქრონოლოგიური წესით რელიგიური კულტის ყოფილი დაწესებულებებისა და ჩანაწერების სახეობათა მიხედვით.

2. სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრები და მეტრიკული დავთრები დაინომრება და აღირიცხება № 1 ფორმის ჟურნალში (თან ერთვის).

3. სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრების პირველი ეგზემპლარები, რომლებიც შევსებულია მოცემული რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე, აგრეთვე მეტრიკული დავთრები, რომლებიც შედგენილია მმაჩის ორგანოების შექმნამდე, ინახება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მმაჩის ბიუროს არქივში.

გამონაკლისს შეადგენს თბილისი, სადაც სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრების პირველი ეგზემპლარები გადაეცემა მმაჩის საქალაქო არქივს მათი შევსების დღიდან 5 წლის გასვლის შემდეგ.

სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრების მეორე ეგზემპლარები და მეტრიკული დავთრები ინახება საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მმაჩის რესპუბლიკურ არქივებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო არქივში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II.

მმაჩის ორგანოების არქივების გაწყობა

4. სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრების, აგრეთვე მეტრიკული დავთრების დაცვა-შენახვის უზრუნველსაყოფად და ამ დავთრებზე მუშაობისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად მმაჩის საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკურ არქივებს დაეთმობათ სპეციალური სადგომები, ხოლო მმაჩის რაიონულ (საქალაქო) ბიუროებს — ცალკეული ოთახები (არქივსაცავები).

არქივის სადგომი უნდა იყოს სხვა სადგომებიდან და სანიტარულ-ტექნიკური კომუნიკაციებიდან იზოლირებული, მშრალი და დატბორვისაგან გარანტირებული. არქივსაცავების პირველი სართულის ფანჯრებს უნდა გაუკეთდეს ლითონის გისოსები.

არქივსაცავებისათვის გამოყოფილი სადგომები უნდა აკმაყოფილებდეს ხანძარსაწინააღმდეგო ნორმებს. საცავებში განათება უნდა იყოს მხოლოდ ელექტრონის. საღუმელე გათბობის გამოყენება აკრძალულია.

5. არქივსაცავი გაიწყობა ლითონის სტელაჟებით, რომლებიც დაიდგმება კედლებიდან 10-15 სანტიმეტრის მანძილზე; თუ სტელაჟების ტორსები მჭიდროდ ეკვრიან კედლებს, მაშინ უნდა მოეწყოს სტელაჟებზე შემზღუდველები. მანძილი იატაკიდან სტელაჟის ქვედა თარომდე უნდა შეადგენდეს 10-15 სანტიმეტრს; სტელაჟებს შორის მთავარი გასასვლელების სიგანე შეიძლება იყოს 1-1,2 მეტრამდე, ხოლო დანარჩენი გასასვლელებისა — 70-80 სანტიმეტრამდე. საარქივო წიგნებზე შუქის გავლენის შესამცირებლად საჭიროა დაიდგას სტელაჟები კედლების პერპენდიკულარულად, ფანჯრის სიოებს შორის შუაკედლისებში.

III.

მმაჩის ორგანოების არქივებში სამოქალაქო მდგომარეობის აქტების დავთრებისა და მეტრიკული დავთრების შენახვის რეჟიმი

6. არქივსაცავებში საჭიროა დაცულ იქნეს მუდმივი ტემპერატურა + 17-დან + 20 გრადუსამდე ცელსიუსით, ჰაერის შედარებითი ტენიანობა — 50-დან 65 პროცენტამდე.

არქივსაცავში ტემპერატურისა და ჰაერის ტენიანობისადმი კონტროლისათვის დაიდგმება თერმომეტრები ან პსიქრომეტრები.

7. მტვრისაგან არქივსაცავების დასაცავად საჭიროა:

ა) უზრუნველყოფილ იქნეს არქივსაცავების მაქსიმალური ჰერმეტიულობა და სავენტილაციო სისტემის გაწყობა მტვერსაწინააღმდეგო ფილტრებით.

ბ) პერიოდულად მოხდეს დოკუმენტური მასალების გაუმტვერება მტვერსასრუტებით და ტენიანი დასუფთავება ფორმალინის ერთპროცენტიანი ხსნარის გამოყენებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) არქივსაცავების განიავების დროს საჭიროა გაიკრას ფანჯრებსა და სარკმელებზე გლიცერინის 50-პროცენტიან ხსნარში დასველებული და გულმოდგინედ გამოწურული მარლა;

დ) დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული ზომები ობის, მწერებისა და მღრღნელების მოსასპობად არქივსაცავებში.

8. არქივსაცავში შესვლა და სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრებისა და მეტრიკული დავთრების ჩანაწერების გაცნობა კერძო პირებს, რომლებსაც არა აქვთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მმაჩის ბიუროს გამგის, მმაჩის საქალაქო ან საოლქო არქივის გამგის ნებართვა, ხოლო შვილად აყვანის სარეგისტრაციო დავთრების ჩანაწერების გაცნობა, აგრეთვე მეურვეობისა და ᲫᲮრუნველობის ორგანოების ნებადაურთველად — აკრძალულია.

9. არქივსაცავებში აკრძალულია პაპიროსის მოწევა, სახურებელი ელექტროხელსაწყოებით სარგებლობა, გარეშე საგნების (პორთფელების, ჩანთების, კვების პროდუქტების და სხვ. შენახვა).

10. არასამუშაო დროს არქივსაცავის კარი დაიკეტება, დაიბეჭდება ან დაიპლომბება. ბეჭედი ან პლომბირი ინახება მმაჩის ორგანოს არქივის გამგესთან ან არქივისათვის პასუხისმგებელ თანამშრომელთან; არქივი გაიღება და დაიხურება მათი თანდასწრებით.

არასამუშაო საათებში მმაჩის რესპუბლიკური არქივების სადგომები უზრუნველყოფილი უნდა იქნან გარეგანი დაცვით.

11. ხანძრის, წყალდიდობის ან სხვა სტიქიური უბედურების შემთხვევებში, აგრეთვე არქივში კერძო პირთა ბოროტი განზრახვით შეპარვის აღმოჩენის დროს, შედგება აქტი შესაბამისი ორგანოების (სახანძრო დაცვა, შინაგან საქმეთა, ტექნიკური ზედამხედველობა, სახელმწიფო არქივი და სხვ.) წარმომადგენლის მონაწილეობით და მიღებული იქნება ზომები მასალების დასაცავად.

12. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ევალებათ შექმნან მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მმაჩის ბიუროს არქივებში, აგრეთვე მმაჩის საქალაქო და საოლქო არქივებში სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრების და მეტრიკული დავთრების შენახვის სათანადო პირობები.

13. არქივის შენახვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მმაჩის ბიუროს გამგეს, ხოლო საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკურ არქივებში — არქივების გამგეებს.

IV.

სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრებისა და მეტრიკული დავთრების შენახვის ვადები და სახელმწიფო არქივებში მათი გადაცემის წესი

14. სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრები და მეტრიკული დავთრები ინახება მმაჩის ორგანოების არქივებში მათი შედგენის დროიდან 75 წლის განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

75 წლის გასვლის შემდეგ დავთრების მეორე ეგზემპლარები მმაჩის რეს-პუბლიკური, საოლქო, თბილისის საქალაქო არქივებიდან, სსრ კავშირის დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა არქივების საქმისწარმოების დოკუმენტური ნაწილის და მუშაობის დაყენების დადგენილი წესების თანახმად გაფორმებული სახით, გადაეცემა შესანახად შესაბამის სახელმწიფო არქივებს. დავთრების დანაკლისი ან გამოუსწორებლად დაზიანებული ეგზემპლარები შეიცვლება იდენტური დავთრებით, რომლებიც ამოიღება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მმაჩის განყოფილებების (ბიუროების) არქივებიდან.

15. მმაჩის ორგანოების არქივები სახელმწიფო არქივებს აბარებენ სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრებს და მეტრიკულ დავთრებს აღწერილობებით (ფორმა № 2) და აფორმებენ ჩაბარებას № 3 ფორმის აქტით (დანართები).

აღწერილობები შედგება სამ ცალად, ხოლო აქტები — ორ ცალად. ორ ცალად შედგენილი აღწერილობანი და აქტის ერთი ეგზემპლარი რჩება სახელმწიფო არქივში, აღწერილობის მესამე ცალი აქტის მეორე ეგზემპლართან ერთად უბრუნდება მმაჩის ორგანოს არქივს. სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრები და მეტრიკული დავთრები მიტანილ უნდა იქნან სახელმწიფო არქივებში მმაჩის ორგანოს არქივების საშუალებებით.

16. მას შემდეგ, რაც სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრების და ძეტრიკული დავთრების მეორე ეგზემპლარები გადაეცემა სახელმწიფო არქივებს, აღნიშნული დავთრების პირველი ეგზემპლარები უნდა მოისპოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მმაჩის განყოფილებების (ბიუროს) არქივებში. სამოქალაქო მდგომარეობის აქტების დავთრების და მეტრიკული დავთრების მოსასპობად გამოყოფის შესახებ შედგენილი აქტი უნდა შეუთანხმდეს შესაბამისად მმაჩის რესპუბლიკურ, საოლქო არქივებს და უნდა დაამტკიცოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა.

სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრებისა და მეტრიკული დავთრების მოსპობა, როგორც წესი, ხორციელდება მეორეული ნედლეულის საწარმოებში მათი გადამუშავების გზით, მმაჩის ორგანოს შესაბამისი არქივის წარმომადგენლის თანდასწრებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა

(მმართველობის ორგანოს არქივის დასახელება)

ჟ ურ ნ ა ლ ი

სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრების აღრიცხვისა

დაიწყო _____

დამთავრდა _____

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑ

საარქივო ორგანოს საექსპერტო
კომისიის თავმჯდომარე

——————— (ხელმოწერა)

„——“ ——————— 19 წ.

თანახმა ვარ
(მმაჩის ორგანოს არქივის
გამგის ხელმოწერა)

„——“ ——————— 19 წ.

———————————————————

(მმაჩის ორგანოს არქივის დასახელება)

ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲨᲔᲡᲐᲜᲐᲮᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ

——————— ᲬᲚᲘᲡᲐ

დავთრების ნომრები ნუსხაზე	დასახელება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისა (მაზრა, თემი, რაიონი, ქალაქი, ქალაქის რაიონი, დაბა, სოფელი და ა. შ.), რომლის მიხედვით შედგენილია სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩანაწერები	სამოქალაქო მდგომარეობის აქტის ჩანაწერის სახეობა	ნომრიდან ნომრამდე	დაწყების და დამთავრების თარიღი	ფურცლების რაოდენობა	შენიშვნა

ამ განაყოფში შეტანილია ( ) შესანახი ერთეული №-დან №-მდე

შემდგენის თანამდებობა და გვარი

——————— წლის აღწერილობის ——————— განაყოფის

შემაჯამებელ ჩანაწერს ვამოწმებ:

მმაჩის ორგანოს არქივის საექსპერტო კომისიის
თავმჯდომარის ხელმოწერა

მმაჩის ორგანოს არქივის საექსპერტო კომისიის
მდივნის ხელმოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 2

სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრები

_____

(ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის დასახელება)

ფონდი №

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრებისა, რომლებიც სახელმწიფო არქივს უნდა გადაეცეს

_____ წლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავთრების ნომრები რიგზე	დასახელება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისა (მაზრა, თემი, რაიონი, ქალაქი, ქალაქის რაიონი, დაბა, სოფელი და ა. შ.), რომლის მიხედვით შედგენილია სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩანაწერები	სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩანაწერის საბუღრობა	ნომრიდან ნომრამდე	
	——————— წელი			——————— რაიონი (ქალაქი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 3

ა ქ ტ ი

სახელმწიფო არქივში დოკუმენტური მასალების ჩაბარების შესახებ

ჩამბარებელი არქივი _____

(მმაჩის ორგანოს არქივის სრული დასახელება)

მიმღები არქივი _____

(სახელმწიფო არქივის სრული დასახელება)

ჩაბარების საფუძველი _____

ფონდის დასახელება: სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრები

(ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის დასახელება)

აღწერილობათა №№	აღწერილობათა ეგზემპლარების რაოდენობა	მასალების უკანასკნელი თარიღები	შესანახი ერთეულების (დავთრების) რაოდენობა	შენიშვნა

სულ აღწერილობა _____

(ციფრებითა და სიტყვებით)

სულ შესანახი ერთეული _____

(ციფრებითა და სიტყვებით)

დოკუმენტური მასალებისა და აღწერილობათა მდგომარეობა

იმავდროულად ბარდება _____

მმაჩის ორგანოს არქივის ბეჭედი

ჩავაბარე: მმაჩის ორგანოს არქივის წარმომადგენელი (ხელმოწერა)

მიმღები სახელმწიფო არქივის ბეჭედი

მივიღე: სახელმწიფო არქივის წარმომადგენელი (ხელმოწერა)

„——“ ——————— 19 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

39 თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტექნიკური სამმართველოს ტექნიკურ განყოფილებად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინადადება და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ტექნიკური სამმართველო გარდაიქმნას ტექნიკურ განყოფილებად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 23 მარტი, № 134.

40 ასაღებ შენობათა და ნაგებობათა დაშლის მოწესრიგების შესახებ

ასაღებ შენობათა და ნაგებობათა დაშლის მოწესრიგების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აიკრძალოს, როგორც წესი, დასაშლელ შენობათა და ნაგებობათა დანგრევა ან დაწვა.

2. დაევალოთ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს ასაღებ შენობათა და ნაგებობათა დაშლა, აგრეთვე დაშლის დროს მიღებული მასალების, მოწყობილობის გადამუშავება და რეალიზაცია მიანდონ სამინისტროებისა და უწყებების სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებს და კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემის სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებს.

3. დაევალოს სახმშენს სამი თვის ვადაში შეიმუშაოს კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად და დაამტკიცოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ინსტრუქცია (ყველა ორგანიზაციისათვის სავალდებულო) შენობათა და ნაგებობათა დაშლასა და მასალების გადამუშავებაზე, აგრეთვე ახალ მშენებლობაში ან რემონტის დროს ამ მასალების განმეორებით გამოყენებაზე დასაქმებულ მუშაკთა წახალისების შესახებ იმ ვარაუდით, რომ მიღწეულ იქნეს ამ ღონისძიებათა რენტაბელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაწესდეს, რომ ასაღები შენობების დაშლისათვის, მასალებისა და ნაგებობების ნგრევის განმეორებით გამოყენებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, კომუნალური მეურნეობის სამინისტროს და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც ასაღები შენობები ეკუთვნით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 26 მარტი, № 146.

41 ორგანიზაცია-დაწესებულებათა და მოქალაქეთა მიერ საკოლმეურნეო ტყით არაპირდაპირი სარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი „საქართველოს სსრ ორგანიზაცია-დაწესებულებათა და მოქალაქეთა მიერ საკოლმეურნეო ტყით არაპირდაპირი სარგებლობის წესები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 26 მარტი, № 147.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 26 მარტის № 147 დადგენილებით

წ ე ს ე ბ ი

საქართველოს სსრ ორგანიზაცია-დაწესებულებათა და მოქალაქეთა მიერ საკოლმეურნეო ტყით არაპირდაპირი სარგებლობისა

ამ წესების მოქმედება ვრცელდება საქართველოს სსრ ყველა საკოლმეურნეო ტყეზე

ზოგადი დებულებანი

1. საკოლმეურნეო ტყით არაპირდაპირ სარგებლობას მიეკუთვნება:

ა) პირუტყვის ძოვება;

ბ) თივის თიბვა;

გ) თხილ-კაკლისა და ხილ-კენკრის ხე-ბუჩქების ნაყოფით სარგებლობა;

დ) სოკოს, კენკრისა და სვიის კრეფა.

ე) სამკურნალო და ტექნიკური ნედლეულის მოპოვება.

ვ) ხავსისა და ლერწმის შეგროვება;

ზ) ტყის მერქნიან ჯიშთა თესლის შეგროვება;

თ) ტყის მკვდარი საფარისა და ჩამოცვენილი ფოთლის შეგროვება;

ი) მეფუტკრეობა;

კ) ტოტების საკვებად გამოყენება;

2. ტყით არაპირდაპირ სარგებლობას არ მიეკუთვნება:

ა) დღვილის, კევისა და შაქროვანი წვენის შეგროვება;

ბ) ცაცხვის, დაფნის, მრთილავი ქერქის (ტირიფის, მუხისა და სხვ.) და ძველი ხის ქერქის შეგროვება;

გ) სოჭის თათის, ფიჭვის კვირტისა და წიწვის შეგროვება;

ე) კვარის დამზადება;

ვ) ჯირკვების ამოძირკვა;

ზ) ნადირობა.

3. ტყით არაპირდაპირი სარგებლობის განსაკუთრებული სახეობანი, რომელნიც დაკავშირებულია ტყის ფართობების ხანგრძლივ გადაცემასთან (საფუტკრეების მოწყობა, სასარგებლო მთამადნეულის საბადოების სამრეწველო დამუშავება და სხვ.), დაიშვება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით.

4. საკოლმეურნეო ტყის ფართობებზე სამონადირეო სავარგულებით სარგებლობაში უპირატესობა ენიჭება კოლმეურნეობას (საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობას, სატყეოს), რომელიც იქ ახორციელებს გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს სამონადირეო ფაუნის გასამრავლებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყით არაპირდაპირი სარგებლობის აღრიცხვა, დაგეგმვა და განაწილება

5. საკოლმეურნეო ტყით სამრეწველო, სარეწაო და სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის არაპირდაპირი სარგებლობის აღრიცხვას ეწევა კოლმეურნეობა (საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობა ან სატყეო) ტყით არაპირდაპირი სარგებლობის აღრიცხვის წიგნში.

6. საკოლმეურნეო ტყით სამრეწველო, სარეწაო და სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის, აგრეთვე სხვა სახის არაპირდაპირ სარგებლობაზე (გარდა თიბვისა და პირუტყვის ძოვებისა), მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომთან შეთანხმებით, კოლმეურნეობა (საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობა, სატყეო) ადგენს ყოველწლიურ გეგმას, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნას ტყით არაპირდაპირი სარგებლობის სახეობა, ადგილმდებარეობა, ოდენობა, სარგებლობის ვადები და პირობები, აგრეთვე მოსარგებლე, ვისაც მიეცემა სარგებლობის უფლება.

7. საკოლმეურნეო ტყით არაპირდაპირი, გრძელვადიანი სარგებლობა, გადაცემული საანგარიშო წლის დამთავრებამდე, მექანიკურად გადადის ᲨᲔᲛᲓᲔᲕᲜᲝ წლის გეგმაში.

8. საკოლმეურნეო ტყე სამრეწველო და სარეწაო მნიშვნელობის არაპირდაპირი სარგებლობისათვის, გარდა საფუტკრეების მოსაწყობად, წარმოება-დაწესებულებებსა და მოქალაქეებს გადაეცემათ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თანხმობით; მოსახლეობის საჭიროებისათვის საკოლმეურნეო ტყით არაპირდაპირი სარგებლობის ყველა სხვა სახეობაზე ნებართვას გასცემს უშუალოდ კოლმეურნეობა (საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობა, სატყეო).

9. საკოლმეურნეო ტყით არაპირდაპირი სარგებლობის განაწილების დროს, პირველ რიგში მხედველობაში მიიღება კოლმეურნეობის, საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობის (სატყეოს) საჭიროებანი.

10. საკოლმეურნეო ტყის თხილ-კაკლის და ხილ-კენკრის მცენარეებით დაკავებული ფართობები დამამზადებელ ორგანიზაციებს არაპირდაპირი სარგებლობისათვის გადაეცემათ 10 წლამდე ვადით, ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომთან შეთანხმებით.

11. ტყით არაპირდაპირი სარგებლობის უფლება ყველა სხვა სახეობის მიხედვით, რომელსაც არა აქვს სამრეწველო ან სარეწაო მნიშვნელობა და გამოიყენება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებისათვის, გაიცემა კოლმეურნეობის (საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობის, სატყეოს) ნებართვით.

სარგებლობის უფლების გაცემის გაფორმების წესები და სარგებლობის ძირითადი წესების დაცვის კონტროლი

12. საკოლმეურნეო ტყით არაპირდაპირი სარგებლობის უფლებას, კოლმეურნეობები (საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობები, სატყეოები) ორგანიზაცია-დაწესებულებებსა და მოქალაქეებზე გასცემენ არაპირდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირი სარგებლობის ბილეთებს დადგენილი ფორმით სარგებლობის ვადის, წესის და მოსარგებლის მოვალეობაზე მითითებით.

13. საკოლმეურნეო ტყით არაპირდაპირი სარგებლობის ბილეთის გაცემისას კოლმეურნეობა (საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობა, სატყეო) ვალდებულია მოსარგებლეს გააცნოს სარგებლობის მოცემული სახეობისათვის დადგენილი წესი, რის შესახებაც აღინიშნება საკოლმეურნეო ტყით არაპირდაპირი სარგებლობის ბილეთზე.

14. საკოლმეურნეო ტყით არაპირდაპირი სარგებლობის ბილეთი გამოიწერება სამ ცალად. ერთი მიეცემა მოსარგებლეს, მეორე ტყის მცველს, ხოლო მესამე ინახება კოლმეურნეობაში (საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობაში, სატყეოში) მეტყევე სპეციალისტთან ან ბუღალტერთან.

ბილეთები გამოიწერება ქიმიური ფანქრით, გადასაღები ქაღალდით ან მელნით, ბილეთები ინომრება, აიკინძება, გაეყრება ზონარი და დაილუქება საფინანსო ორგანოს ბეჭდით.

15. იმ შემთხვევაში, როდესაც საკოლმეურნეო ტყით არაპირდაპირი სარგებლობის გადაცემა გათვალისწინებულია ხანგრძლივი (ერთ სეზონზე მეტი) ვადით, კოლმეურნეობები (საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობები, სატყეოები) მოსარგებლეებთან დებენ წერილობით ხელშეკრულებას, რომელშიაც აღინიშნება სარგებლობის ოდენობა, ვადა, სარგებლობისათვის გადასახდელი საფასურის ოდენობა, მოსარგებლის უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა სარგებლობის წესების დარღვევისა ან შეუსრულებლობისათვის.

16. საკოლმეურნეო ტყით არაპირდაპირი სარგებლობის ხელშეკრულების ვადის მიუხედავად, მოსარგებლეს გამოეწერება არაპირდაპირი სარგებლობის ბილეთი ერთი სეზონის ვადით. შემდგომი სეზონისათვის ბილეთი გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ მოსარგებლემ განვლილ პერიოდში შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის წესები და ნაკისრი ვალდებულებანი.

17. საკოლმეურნეო ტყით არაპირდაპირი სარგებლობის წესების დარღვევისათვის, დამნაშავე პირები მიეცემიან პასუხისგებაში დადგენილი წესით, ხოლო მოსარგებლის შემდგომი სარგებლობის უფლება გადაწყდება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

18. საკოლმეურნეო ტყით არაპირდაპირი სარგებლობის ვადის გასვლისას, ყველა გაცემულ ბილეთზე შედგება შემოწმების აქტი, სარგებლობის სისწორის ან ჩადენილი დარღვევის აღნიშვნით, უკანასკნელ შემთხვევაში უნდა იყოს მითითებული დარღვევის ჩადენის მომენტში შედგენილი აქტი და ამ აქტში მოყვანილი სასარჩელო თანხის ოდენობა.

19. საკოლმეურნეო ტყით არაპირდაპირი სარგებლობის ყველა სახეობით (გარდა თიბვისა, პირუტყვის ძოვებისა და საფუტკრეებად ფართობების გაცემისა), რომელსაც არა აქვს სამრეწველო ან სარეწაო მნიშვნელობა, მოსახლეობა პირადი საჭიროებისათვის სარგებლობს თავისუფლად, ტყის ხანძრის საწინააღმდეგო წესების დაცვით და ტყის მეურნეობისათვის ზიანის მიუყენებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობების (სატყეოს), კოლმეურნეობების საერთო საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკოლმეურნეო ტყით არაპირდაპირი სარგებლობის უფლების გაცემა ხდება ბილეთის გაფორმებით.

21. საკოლმეურნეო ტყის დაცვის მუშაკებს ევალებათ უშუალო მეთვალყურეობის გაწევა მოსარგებლეთა მიერ ტყით არაპირდაპირი სარგებლობის წესების, სარგებლობის ნებართვის, ოდენობისა და ვადების დაცვაზე.

22. მოსარგებლეთა მიერ საკოლმეურნეო ტყით არაპირდაპირი სარგებლობის წესების დარღვევის დროს ტყის დაცვის მუშაკები დამნაშავე პირებზე ადგენენ აქტს, ამავე დროს დაუყოვნებლივ იღებენ ზომებს ამ დარღვევათა აღკვეთისათვის.

ტყით არაპირდაპირი სარგებლობის გადასახდელი

23. კოლმეურნეობა (საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობა, სატყეო) საზოგადოებრივი მეურნეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად თავისი საკოლმეურნეო ტყით არაპირდაპირი სარგებლობისათვის არ იხდის საფასურს.

24. საკოლმეურნეო ტყით (არასამრეწველო და არარეწვითი მნიშვნელობის) ყველა სახეობის არაპირდაპირი სარგებლობის უფლება, მოსახლეობის პირად მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, გაიცემა უფასოდ.

25. დამამზადებელი ორგანიზაციები ვალდებული არიან საკოლმეურნეო ტყეებში მათ მიერ დამზადებული ტყის ნაყოფის მთელ რაოდენობაზე გადაუხადონ კოლმეურნეობას ან საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობას (სატყეოს) საფასური, რესპუბლიკის სახელმწიფო ტყით არაპირდაპირი სარგებლობისათვის დადგენილი ნიხრების მიხედვით.

პირუტყვის ძოვება და თივის თიბვა

26. საქართველოს სსრ საკოლმეურნეო ტყეებში პირუტყვის ძოვება დაიშვება ყველგან, გარდა ქვემოჩამოთვლილი ფართობებისა.

ა) ტყეკაფვაზე, ჭრამდე 3 და ჭრის შემდეგ 5 წლამდე.

ბ) ფართობზე, სადაც შესრულებულია ბუნებრივი განახლების ხელშემწყობი ღონისძიებანი.

გ) ტყის კულტურების ფართობებზე და ახალგაზრდა კორომებში, სანამ მცენარეები მიაღწევენ იმ სიმაღლემდე ზრდას, როდესაც პირუტყვის მიერ მათი კენწეროების დაზიანება გამორიცხულია;

დ) იმ უბნებზე, სადაც პირუტყვის ძოვებამ შეიძლება გამოიწვიოს ნიადაგის მთლიანობის დარღვევა და ხელი შეუწყოს ნიადაგის ეროზიას;

ე) ფართობებზე, სადაც ტყის მეურნეობის წარმოებისათვის საქონლის ძოვება ხელშემშლელია.

27. იმ უბნების განსაზღვრა, სადაც § 26-ით აკრძალულია ძოვება, წარმოებს ყოველწლიურად, ცვლილებათა და ტყის აღდგენით ღონისძიებათა გეგმების გათვალისწინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფართობები, რომელზედაც არ დაიშვება პირუტყვის ძოვება, შეძლებისდაგვარად უნდა შემოიღობოს.

28. აკრძალულია ტყეებში პირუტყვის ძოვება უმწყემსოდ, აგრეთვე საქონლის მწყემსვა ძაღლებით იქ, სადაც სამონადირეო მეურნეობას ეწევიან.

29. აკრძალულია თხის ძოვება ტყეში, გამონაკლისის სახით მისი ძოვება დაიშვება სპეციალურად გამოყოფილ და პირუტყვის პატრონის მიერ წინასწარ შემოღობილ ბუჩქნარებში.

30. პირუტყვის ძოვების ნორმებს აწესებს რაიაღმასკომი ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

31. საკოლმეურნეო ტყეში თივის თიბვა, დასაშვებია ტყის საბურველის ქვეშ და „ფანჯრებში", იქ სადაც არ არის აღმოცენებული მოზარდი მცენარე და თიბვა ხელს არ შეუშლის ბუნებრივ განახლებას.

თხილ-კაკლის და ხილ-კენკრის ხე-ბუჩქნარის ნაყოფებით სარგებლობა

32. საკოლმეურნეო ტყის თხილ-კაკლისა და ხილ-კენკრის კორომები კოლმეურნეობას (საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობას, სატყეოს) განსაკუთრებულ აღრიცხვაზე აქვს აყვანილი და ამ კორომებში ეწევიან მეურნეობას ნაყოფის მოსაყვანად.

33. თხილ-კაკლისა და ხილ-კენკრის კორომების ხანგრძლივი ვადით სარგებლობის ნებართვის გაცემის დროს დადებული ხელშეკრულებით მოსარგებლეს ევალება მიმაგრებული ფართობების ფარგლებში შემდეგ ღონისძიებათა განხორციელება:

ა) ფართობების ჯეროვან სანიტარულ მდგომარეობაში მოყვანა — ძირნაყარის აღება, ჯაგნარის მოცილება, აგრეთვე ტყის მავნებლებთან ბრძოლა და სხვა, რათა ხელი არ შეეშალოს ტყის ხილის ხე-ბუჩქნარის ზრდა-განვითარებას;

ბ) ბუნებრივი განახლების ხელშემწყობი ღონისძიების ჩატარება;

გ) მეჩხერ ფართობებზე ტყის ხილისა და კაკლის ხე-ბუჩქნარის დარგვა-გაშენება.

34. გარეული ნაყოფის მომცემი ხეები (პანტა, მაჟალო და სხვ.) შეიძლება მოჭრილ იქნას, მერქნად გაცემის მიზნით, მხოლოდ მსხმოიარობის უნარის დაკარგვის შემდეგ.

35. პირადი საჭიროებისათვის საკოლმეურნეო ტყის თხილ-კაკლით და ხილ-კენკრით მოსახლეობა სარგებლობს, მოსარგებლეთათვის ხელშეკრულებით მიუმაგრებელ ფართობებზე, თავისუფლად — ბილეთის გაუფორმებლად.

სოკოს, კენკრისა და სვიის კრეფა

36. სოკოს, კენკრისა და სვიის სარეწაო მნიშვნელობის დამზადებისათვის საჭირო ფართობის გამოყოფის შესახებ კოლმეურნეობები (საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობა, სატყეო) მოსარგებლესთან სდებს ხელშეკრულებებს 5 წლამდე ვადით და არაპირდაპირი სარგებლობის ბილეთებს აფორმებს ყოველწლიურად; ხელშეკრულება ითვალისწინებს მოსარგებლეთა ვალდებულებებს ტყეში ხანძრის საწინააღმდეგო უშიშროების წესების დაცვისა და სხვა ღონისძიებათა განხორციელებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

37. მოსარგებლეებს უფლება ეძლევათ ტყეში დროებით მოაწყონ საცხოვრებელ-ულოები, სახმობი და გადასამუშავებელი დანადგარები, აგრეთვე განახორციელონ მოსავლიანობის გადიდების ღონისძიება იმ ადგილებში და იმ ოდენობით, რაც ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული.

38. დროებითი ნაგებობების მოსაწყობად საჭირო ხე-ტყე მოსარგებლეს მიეცემა საერთო წესით.

39. პირადი საჭიროებისათვის სოკოს, კენკრისა და სვიის კრეფას, მოსარგებლეთათვის ხელშეკრულებით მიუმაგრებელ ფართობებზე, მოსახლეობა ეწევა თავისუფლად ბილეთების გაუფორმებლად, ტყეში ხანძრის საწინააღმდეგო უშიშროების წესების დაცვით და ტყის მეურნეობისათვის ზიანის მიუყენებლად.

სამკურნალო და ტექნიკური ნედლეულის მოპოვება

40. სამკურნალო და ტექნიკური ნედლეულის გამოყენების მიზნით, ორგანიზაცია-დაწესებულებებსა და ცალკეულ მოქალაქეებს ნება ეძლევათ მოკრიფონ და დაამზადონ ხისა და ბუჩქნარი მცენარეების ფოთლები, ყვავილები, ნაყოფი, კვირტები, ხოლო ბალახოვანი მცენარეულისა — ფესვებიც და ბოლქვებიც.

41. სამრეწველო და რეწვითი ხასიათის სამკურნალო და ტექნიკური ნედლეულის დამზადება ხდება ტყის არაპირდაპირი სარგებლობის ბილეთების გაფორმებით.

ხავსისა და ლერწმის შეგროვება

42. სამშენებლო და სხვა მიზნებისათვის, ორგანიზაცია-დაწესებულებების და მოქალაქეთა პირადი საჭიროებისათვის ხავსის შეგროვებაზე, კოლმეურნეობა, საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობა (სატყეო) გასცემს ნებართვას ტყით არაპირდაპირი სარგებლობის ბილეთის სახით, იმ პირობით, რომ მოსარგებლენი არ დააზიანებენ მოზარდ მცენარეებსა და ქვეტყეს.

43. ლერწმის შეგროვება რეწვითი დანიშნულებისა და მოსახლეობის საჭიროებისათვის დაიშვება ტყით არაპირდაპირი სარგებლობის ბილეთებით. მოსარგებლეს დროებით სარგებლობაში გადაეცემა ფართობი ნედლეულის გასახმობად და ჩასაწყობად.

ტყის მერქნიან ჯიშთა თესლის შეგროვება

44. ხისა და ბუჩქნარის ჯიშის თესლის შეგროვება წარმოებს თესლის შესაგროვებლად სპეციალურად გამოყოფილ კორომებში, რომლებიც ასაკით, ბონიტეტითა და ვარგისიანობით აკმაყოფილებენ სადედე ფართობების მოთხოვნილებებს.

45. ტყის მერქნიან ჯიშთა თესლის დამზადების დროს დაუშვებელია ხეების წაქცევა, მოჭრა, ტოტების დამტვრევა ან ტყისათვის სხვა ზიანის მიყენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

46. თესლის დამამზადებლებს ნება ეძლევათ მოაწყონ დროებითი ნაგებობანი. ამ მიზნისათვის საჭირო ხე-ტყე გაიცემა საერთო წესით.

47. თესლის მოკრეფა და გადამუშავება ხორციელდება თესლის შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და ტრანსპორტირების წესების შესაბამისად.

ტყის მკვდარი საფარისა და ჩამოცვენილი ფოთლის შეგროვება

48. ტყის მკვდარი საფარის შეგროვება საქართველოს სსრ საკოლმეურნეო ტყეებში, მათი ნიადაგდაცვითი და წყალშემნახავი მნიშვნელობის გამო, არ დაიშვება, გარდა კოლხეთის დაბლობის მეორე ჯგუფის ვაკე ტყეებისა.

49. ტყის მკვდარი საფარის მოპოვება დაიშვება მთელი სისქის ბოლომდე ჩაუწვდომლად, ზაფხულის ბოლო პერიოდში, ერთსა და იმავე ფართობზე არა უხშირეს 3-5 წლისა, ტყის მეურნეობისათვის ზიანის მიუყენებლად. არ დაიშვება რკინის ფოცხის და სხვა ისეთი იარაღის ხმარება, რომელიც დააზიანებს მოზარდის ფესვთა სისტემას. ჩამოცვენილი ფოთლის აკრეფა ანალოგიური წესით ხდება.

50. ტყის მკვდარი საფარისა და ჩამოცვენილი ფოთლის შეგროვება წარმოებს ტყით არაპირდაპირი სარგებლობის ბილეთების გაფორმებით.

მეფუტკრეობა

51. ტყის თაფლის მომცემი კორომების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით, კოლმეურნეობა (საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობა, სატყეო) ორგანიზაცია-დაწესებულებებსა და მოქალაქეებს დროებით გადასცემს მიწის ნაკვეთებს შეძლებისდაგვარად გზის პირას ან „ფანჯრებში“ საფუტკრეების მოსაწყობად.

52. ნაკვეთების გაცემა საფუტკრეების მოსაწყობად წარმოებს მოსარგებლის განაცხადით.

53. მოსარგებლეთათვის მიცემულ საფუტკრეების მოსაწყობ ნაკვეთებზე ნებადართულია დროებითი საგუშაგო და სკების შესანახ ნაგებობათა მოწყობა.

54. როგორული და საბაგე მეფუტკრეობის რაიონებში სკების დასაკიდებლად კოლმეურნეობა (საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობა, სატყეო) მეფუტკრეს გამოუყოფს ფუღუროვან ან საბაგე ხეებს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების მიერ ნებადართული რაოდენობით.

აღნიშნული მიზნებისათვის გათვალისწინებული ხეები დაინომრება, შედგება გადათვლის უწყისი, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას ან ტყის არაპირდაპირი სარგებლობის ბილეთს, და გადაეცემა მოსარგებლეს.

55. საკოლმეურნეო ტყეებში ყველა სახეობის მეფუტკრეობა აკრძალულია ტყით არაპირდაპირი სარგებლობის ბილეთების გაუფორმებლად.

56. მეფუტკრეობის მეურნეობისათვის საჭირო ხე-ტყე მოსარგებლეს მიეცემა საერთო წესით.

57. ხეების დაზიანებისა და მოჭრისათვის, საფუტკრეების მოსაწყობად გადაცემულ ნაკვეთებს და მათ მომიჯნავე ტერიტორიაზე 50 მეტრ რადიუსში, აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთვე ფუღუროიანი ხეებისა და საკვების დასაკიდად გამოყოფილი ხეების დაზიანების ან მოჭრისათვის პასუხს აგებს მოსარგებლე.

58. საფუტკრის მოსაწყობად გამოყოფილი მიწის ნაკვეთის კოლმეურნეობის ფართობიდან გამორიცხვის შემთხვევაში მოსარგებლეს ჩამოერთმევა გაცემული ნებართვა ვადის გასვლამდე და მის ნაცვლად მას მიეცემა სამაგიერო ნაკვეთი საფუტკრის მოსაწყობად.

59. საფუტკრისათვის გამოყოფილი იმ ფართობის ჭრაში დანიშვნის შემთხვევაში, რომლებზედაც ფუღუროიანი ან საბაგე ხეებია, ამ ფართობით სარგებლობა წყდება ფართობის ჭრაში გადასვლის მომენტიდან, მოსარგებლის წინასწარი გაფრთხილებით.

60. საკოლმეურნეო ტყით არაპირდაპირი სარგებლობის დამთავრების შემდეგ, საფუტკრე ნაკვეთის კოლმეურნეობისათვის (საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობა, სატყეო) უკან დაბრუნების დროს, მოსარგებლე ვალდებულია ბილეთში აღნიშნული ვადისათვის აიღოს ყველა მის მიერ აშენებული ნაგებობანი და მოასწოროს სარდაფებისაგან დარჩენილი ორმოები, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაგებობანი რჩება კოლმეურნეობის (საკოლმეურნეობათაშორისო მეურნეობის, სატყეოს), განკარგულებაში უსასყიდლოდ, ხოლო ორმოებს მოასწორებს კოლმეურნეობა (საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობა, სატყეო) მოსარგებლის ხარჯზე.

პასუხისმგებლობა საქონლის ძოვებისა და თივის თიბვის წესების დარღვევისათვის

61. დამნაშავე პირები და ორგანიზაციები, რომლებიც თვითნებურად აწარმოებენ თიბვასა და პირუტყვის ძოვებას, ჯარიმდებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 30 დეკემბრის № 653 დადგენილებით დამტკიცებული „სატყეო მეურნეობისათვის მიყენებული ზარალისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის ზომებისა და წესების“ მიხედვით დადგენილი ნიხრებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

42 თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის შემადგენლობის შევსების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის შემადგენლობიდან გამოსული წევრების ნაცვლად დამტკიცდეს ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილეებად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვ. ფანჩვიძე, ხოლო წევრებად — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. გოგიჩაიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველი მდივანი გრ. აბაშიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გ. შალამბერიძე და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შ. ძიძიგური.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 26 მარტი, № 149.

43 საქართველოს სსრ ადვოკატთა შრომის ანაზღაურების დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„საქართველოს სსრ ადვოკატთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 8 ოქტომბრის № 581 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. საქართველოს სსრ ადვოკატთა შრომის ანაზღაურების დებულებიდან ამოღებულ იქნეს პირველი და მეორე პუნქტები.

2. დებულების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ადვოკატთა შრომის გასამრჯელო განისაზღვრება იმ ფულადი სახსრებიდან, რომელიც ერთი თვის განმავლობაში შემოვიდა იურიდიულ კონსულტაციაში ადვოკატის მიერ გაწეული იურიდიული დახმარებისათვის, რომლიდანაც ადვოკატს დაერიცხება არანაკლებ 70 პროცენტისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დებულების მე-4 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „დამატებითი გასამრჯელოს გასაცემად, რომელიც მითითებულია ამ დებულების მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 31 მარტი, № 159.

44 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 14 აგვისტოს № 495 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 14 აგვისტოს № 495 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1934 წლის 21 მარტის დადგენილება „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 20 აპრილის № 349 დადგენილება „თბილისში სასაქონლო-სამგზავრო ტაქსით მგზავრთა გადაყვანის და ბარგის გადაზიდვის ტარიფების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 24 თებერვლის № 327 დადგენილება „საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის ერთიანი ტარიფების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 7 აპრილი. № 171.

ეროვნული ბიბლიოთეკა

45 საწარმოთა ჯგუფებისათვის საერთო ობიექტების მშენებლობის დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 19 მარტის № 177 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, რომელთა გამგებლობაში იმყოფებიან საწარმოთა ჯგუფისათვის საერთო ობიექტების მთავარი მენაშენე საწარმოები:

— დროზე შეიმუშაონ საწარმოთა ჯგუფისათვის საერთო ობიექტების მშენებლობის დოკუმენტაცია, შეათანხმონ და დაამტკიცონ იგი დადგენილი წესით, აგრეთვე შეიტანონ ეს ობიექტები მთავარი მენაშენე საწარმოს მშენებლობის სატიტულო სიაში, ამასთან აღნიშნონ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა (მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა) თვითეული იმ საწარმოს მიხედვით, რომელიც წილობრივ მონაწილეობას იღებს საერთო ობიექტების მშენებლობაში.

საწარმოთა ჯგუფისათვის საერთო ობიექტების მშენებლობის პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს შეიმუშავებენ, როგორც წესი, საწარმოთა ჯგუფის გენერალური გეგმის სქემის შემდგენი საპროექტო ორგანიზაციები მთავარი მენაშენე საწარმოს გენერალურ დამპროექტებელთან სახელშეკრულებო საწყისებზე;

— შეადგინონ შეკვეთები და დადონ ხელშეკრულებანი საწარმოთა ჯგუფისათვის საერთო ობიექტების მშენებლობის საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების, მათთვის მოწყობილობის დამზადებისა და მიწოდების შესახებ, აგრეთვე დაწესებულ ვადებში საექსპლოატაციოდ გადასცენ ეს ობიექტები მოიჯარე ორგანიზაციასთან ერთად;

— წარუდგინონ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების პროექტებთან ერთად (შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად წინასწარ განხილული) წინადადებანი იმ სახსრების ოდენობის შესახებ, რომლებიც რესპუბლიკას უნდა გადასცენ მოწილეებმა ამ დადგენილების შესაბამისად საწარმოთა ჯგუფისათვის საერთო ობიექტების ასაშენებლად.

2. დაევალოს სახმშენს ყოველწლიურად წარუდგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით სსრ კავშირის სახმშენს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნეს „საქსახპროექტის“ სამუშაოთა გეგმაში საწარმოთა ჯგუფის გენერალური გეგმების სქემების შემუშავება ცალკეულ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 19 მარტის № 177 დადგენილება „საწარმოთა ჯგუფისათვის საერთო ობიექტების მშენებლობის დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 13 აპრილი, № 178.

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 177

1970 წლის 19 მარტი

მოსკოვი, კრემლი

საწარმოთა ჯგუფისათვის საერთო ობიექტების მშენებლობის დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაწესდეს, რომ საწარმოთა ჯგუფისათვის (სამრეწველო კვანძის) საერთო დამხმარე საწარმოებისა და მეურნეობების, საინჟინერო ნაგებობების, კომუნიკაციებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის განსახორციელებლად დამტკიცდება მთავარი მენაშენე — ყველაზე დიდი საწარმო იმ საწარმოთა რიცხვიდან, რომლებიც პირველ რიგში შენდება, ან, როდესაც ეს მიზანშეწონილია, დამტკიცდებიან საწარმოთა ჯგუფისათვის საერთო ცალკეული ობიექტების მთავარი მენაშენეები.

საწარმოთა ჯგუფისათვის საერთო ობიექტების მთავარ მენაშენეს დაამტკიცებს სსრ კავშირის შესაბამისი სამინისტრო (უწყება) ან მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო იმ წინადადებათა საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია საწარმოთა ჯგუფის გენერალური გეგმის სქემით, რომელსაც სსრ კავშირის სახმშენი ამტკიცებს.

თუ მთავარი მენაშენის დანიშვნაში უთანხმოება მოხდა, მას დაამტკიცებს სსრ კავშირის სახმშენი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და იმ მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით, რომლის ტერიტორიაზე იმყოფება საწარმოთა ჯგუფი.

საწარმოთა ჯგუფისათვის საერთო ობიექტების მშენებლობაში ცალკეული საწარმოების წილობრივი მონაწილეობის ოდენობას (მთავარი მენაშენისათვის გადასაცემი სახსრების სანიმუშო განაწილებას წლებისა და ობიექტების მიხედვით) განსაზღვრავს სსრ კავშირის სახმშენი საწარმოთა ჯგუფის გენერალური სქემის დამტკიცების დროს ამ ობიექტების მომსახურებაზე საწარმოთა მოთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვნილების პროპორციულად და დაზუსტდება საწარმოთა ჯგუფისათვის საერთო ობიექტების მშენებლობის ტექნიკური პროექტის შემუშავებისა და დამტკიცების დროს. წილობრივი მონაწილეობის სახსრები შეიტანება საწარმოთა ჯგუფის შემადგენლობაში შემავალი თითოეული საწარმოს მშენებლობის ხარჯთაღრიცხვაში.

2. დაევალოთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რომლებსაც ექვემდებარებიან საწარმოთა ჯგუფისათვის საერთო ობიექტების მთავარი მენაშენე საწარმოები:

დროზე შეიმუშაონ საწარმოთა ჯგუფისათვის საერთო ობიექტების მშენებლობის დოკუმენტაცია, შეათანხმონ და დაამტკიცონ იგი დადგენილი წესით, აგრეთვე შეიტანონ ეს ობიექტები მთავარი მენაშენე საწარმოს მშენებლობის სატიტულო სიაში, ამასთან აღნიშნონ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა (მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა) თვითეული იმ საწარმოს მიხედვით, რომელიც წილობრივ მონაწილეობას იღებს საერთო ობიექტების მშენებლობაში.

საწარმოთა ჯგუფისათვის საერთო ობიექტების მშენებლობის პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს შეიმუშავებენ, როგორც წესი, საწარმოთა ჯგუფის გენერალური გეგმის სქემის შემდგენი საპროექტო ორგანიზაციები მთავარი მენაშენე, საწარმოს გენერალურ დამპროექტებელთან სახელშეკრულებო საწყისებზე;

— შეადგინონ შეკვეთები და დადონ ხელშეკრულებანი საწარმოთა ჯგუფისათვის საერთო ობიექტების მშენებლობის საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების, მათთვის მოწყობილობის დამზადებისა და მიწოდების შესახებ, აგრეთვე საექსპლოატაციოდ გადასცენ ეს ობიექტები მოიჯარე ორგანიზაციასთან ერთად დაწესებულ ვადაში.

3. დაევალოთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რომელთა გამგებლობაში იმყოფებიან მთავარი მენაშენე საწარმოები, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების პროექტებთან ერთად წარუდგინონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს (სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად წინასწარ განხილული) წინადადებანი იმ სახსრების ოდენობის შესახებ, რომლებიც მათ უნდა გადაეცეს, ამ დადგენილების შესაბამისად, საწარმოთა ჯგუფისათვის საერთო ობიექტების ასაშენებლად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განიხილოს აღნიშნული წინადადებანი და გაითვალისწინოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების პროექტებში, რომ გადაეცეთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რომელთა გამგებლობაში იმყოფებიან მთავარი მენაშენე საწარმოები, საწარმოთა ჯგუფისათვის საერთო ობიექტების მშენებლობისა და დროულად ამოქმედებისათვის საჭირო სახსრები შესაბამისი დარგების კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე.

4. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკმა დააფინანსოს საწარმოთა ჯგუფის შემადგენლობაში შემავალი ძირითადი დანიშნულების თვითეული საწარმოს შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობათა და ნაგებობათა მშენებლობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მთავარ მენაშენეს გადაეცემა საწარმოთა ჯგუფისათვის საერთო ობიექტების ასაშენებლად გათვალისწინებული სახსრები.

5. საწარმოთა ჯგუფისათვის საერთო ობიექტების მთავარი მენაშენეები დადგენილი წესით წარადგენენ ანგარიშს ამ ობიექტების მშენებლობისათვის სახსრების გამოყენების შესახებ იმ დარგების აღნიშვნით, რომლებიდანაც მიღებულია სახსრები.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 16 ივლისის № 1408 განკარგულება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

46 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეივსოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებული სია საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად, დაიშვება იმ მუშათა და მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლოს წესით, საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, ვინც შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან ან შრომის დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებით, ან დანაშაულის ჩადენისათვის, — შემდეგი პუნქტით:

„115. საცხოვრებელი სახლები, რომლებიც ეკუთვნის სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს (მახარაძის რაიონი, ანასეული), ამ ინსტიტუტის ჩაქვის, სოხუმის და ზუგდიდის ფილიალებს, კოლხეთის სასოფლო-სამეურნეო საცდელ სადგურს (ქ. ფოთი), ნატანების ციტრუსების ექსპერიმენტულ მეურნეობას (ნატანები) და იმერეთის საყრდენ პუნქტს (წყალტუბო).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 15 აპრილი, № 182.

ეროვნული ბიბლიოთეკა

47 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 10 დეკემბრის № 940 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 12 დეკემბრის № 817 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

„სსრ კავშირის წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 10 დეკემბრის № 940 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს პუნქტი 13 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 12 დეკემბრის № 817 დადგენილებისა „საქართველოს სსრ შინაგან წყალსატევებში თევზის მარაგის კვლავწარმოებისა და დაცვის შესახებ“ საქთევზდაცვის ინსპექციის სამსახურის წესდების დამტკიცების ნაწილში.

2. შეტანილ იქნეს თანდართული ცვლილებანი საქართველოს სსრ შინაგან წყალსატევებში თევზჭერის წესებში, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 12 დეკემბრის № 817 დადგენილებით

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს. სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 15 აპრილი, № 185.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 15 აპრილის № 185
დადგენილების დანართი

ცვლილებანი

საქართველოს სსრ შინაგან წყალსატევებში თევზჭერის წესებში, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 12 დეკემბრის № 817 დადგენილებით

1) მე-6 პუნქტის პირველი აბზაციდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „(გაყიდვის უფლების აკრძალვით)“;

2) დაემატოს წესებს პუნქტი 7^1 შემდეგი შინაარსისა:

„7^1. აკრძალულია გაყიდვა ყველგან კერძო პირების მიერ ისეთი ძვირფასი სახის თევზისა, რომლის უკანონო ჭერისა და მოსპობისათვის გათვალისწინებულია გადახდეთ მოქალაქეებს მათ მიერ მიყენებული ზარალი (დამტკიცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ნიხრის მიხედვით), აგრეთვე ხიზილალისა და ამ სახეობის თევზისაგან დამზადებული სხვა პროდუქტებისა".

3) მე-16 პუნქტის ქვეპუნქტი „ბ" ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ჩამოართვან მეთევზეობის წესების დამრღვევ პირებს ჭერის იარაღები, მცურავი და სხვა სატრანსპორტო საშუალებანი, რომლებიც მათ აღმოაჩნდებათ, აგრეთვე უკანონოდ მოპოვებული თევზი და წყლის სხვა ცხოველები და მცენარეები";

4) მე-19 პუნქტის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჩამორთმეული თევზსაჭერი იარაღები, მცურავი და სხვა სატრანსპორტო საშუალებანი ინახება თევზდაცვის ორგანოების ბაზებში ან სხვა ადგილებში ამ ორგანოების შეხედულებით მანამ, ვიდრე გადაწყდებოდეს საკითხი დამრღვევის პასუხისმგებლობისა ადმინისტრაციული ან სასამართლო წესით".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

48 ქ. რუსთავის მრეწველობის პერსპექტიული განვითარების შესახებ

(ამონაკრები)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ქ. რუსთავის მრეწველობის სწრაფმა განვითარებამ დიდი შეფერხება და დაძაბულობა გამოიწვია მუშახელით სამრეწველო საწარმოების უზრუნველყოფაში.

ამასთან საწარმოების მშენებლობა და გაფართოება მოითხოვს ამ მიზნებისათვის ქალაქის ირგვლივ მდებარე მაღალფასოვანი სარხეკავი სახნავი მიწების გამოყოფას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აიკრძალოს რუსთავში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებადაურთველად ახალი სამრეწველო საწარმოებისა და საამქროების მშენებლობა და მოქმედი საწარმოებისა და საამქროების გაფართოება, გარდა ისეთი საწარმოებისა და ობიექტებისა, რომლებიც საჭიროა მოსახლეობის უშუალო მომსახურებისა და საბინაო მშენებლობის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის.

3. დაევალოთ სამინისტროებსა და უწყებებს, რუსთავში განლაგებული სამრეწველო საწარმოების დირექტორებს შეიმუშაონ და დანერგონ საწარმოებში ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოო პროცესების კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, ახალი ტექნიკისა და გაუმჯობესებული ტექნოლოგიის ათვისებას იმ ანგარიშით, რომ მკვეთრად გადიდდეს შრომისნაყოფიერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. სამინისტროებმა და უწყებებმა, რუსთავის ტერიტორიაზე განლაგებული იმ საწარმოების დირექტორებმა, რომლებიც სამრეწველო მშენებლობას ახორციელებენ, და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა უზრუნველყონ საბინაო ფონდის უფრო წინმსწრები მშენებლობა და კვალიფიციური მუშების დროულად მომზადება საექსპლოატაციოდ გადასაცემი ახალი სიმძლავრეებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 16 აპრილი, № 194.

ეროვნული ბიბლიოთეკა

49 მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ

იმ მიზნით, რომ დროულად და ხარისხიანად იქნეს წარმოებული ბრძოლა მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ და თავიდან იქნეს აცილებული მავნებლებისა და დაავადების გავრცელება საზოგადოებრივ მეურნეობათა სასოფლო სამეურნეო კულტურებზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დადგენილ იქნეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკასთან" შეთანხმებული წესი, რომლის დროსაც საკარმიდამო ნაკვეთებზე კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლას მოაწყობენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობების ხელმძღვანელები.

ქალაქებში, დაბებში მდებარე საკარმიდამო ნაკვეთებზე, რომლებიც დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, ეკუთვნის, მცენარეთა მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ ბრძოლას მოაწყობენ საქალაქო და სადაბო საბჭოები, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

2. ტრაქტორის გამოსაყენებლად ვარგის საკარმიდამო ნაკვეთებზე კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში მცენარეთა მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ ბრძოლას ეწევიან გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" განყოფილებათა მექანიზებული რაზმები ამ მეურნეობების მიერ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" განყოფილებებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე".

იმ რაიონებში, სადაც „საქსოფლტექნიკის" განყოფილებები არ ეწევიან ბრძოლას მცენარეთა მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ, ამ სამუშაოებს საკარმიდამო ნაკვეთებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში ახორციელებენ ამ მეურნეობების მიერ სპეციალურად გამოყოფილი ბრიგადები, რგოლები ან რაზმები.

საკარმიდამო ნაკვეთების მფლობელები დაწესებული ფასდების თანახმად გადაუხდიან კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო მეურნეობებს მცენარეთა მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებას.

3. იმ შემთხვევებში, როდესაც საკარმიდამო ნაკვეთების მფლობელები განაცხადებენ სურვილს საკარმიდამო ნაკვეთებზე მცენარეთა მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოები შეასრულონ საკუთარი ძალებით, მათს მომარაგებას შხამქიმიკატებითა და შესაბამისი აპარატურით, აგრეთვე ამ სამუშაოთა ხელმძღვანელობას განახორციელებენ კოლმეურნეობები, საბჭოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობები და სხვა სახელმწიფო მეურნეობები, საქალაქო და სადაბო საბჭოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები.

4. საკარმიდამო ნაკვეთებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ:

— კოლმეურნეობათა ტერიტორიებზე — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებსა და აგრონომებს და საკარმიდამო ნაკვეთების მფლობელებს;

საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობების ტერიტორიებზე — მეურნეობათა დირექტორებსა და აგრონომებს და საკარმიდამო ნაკვეთების მფლობელებს;

ქალაქების, დაბების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ტერიტორიებზე — საქალაქო და სადაბო საბჭოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს და საკარმიდამო ნაკვეთების მფლობელებს.

5. დაევალოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას," კვების მრეწველობის სამინისტროს, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, სახელმწიფო კომიტეტს „საქკონსერვხილბოსტანს", აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

ა) განუმარტონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სახელმწიფო მეურნეობების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და მოსახლეობას კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა, აგრეთვე სხვა მოქალაქეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე მცენარეთა მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის წესი, რაც გათვალისწინებულია ამ დადგენილებით, და კანონით დაწესებული პასუხისმგებლობა მცენარეთა დაავადებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის წესების დარღვევისათვის;

ბ) დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლმეურნეთა, მუშათა, მოსამსახურეთა და სხვა მოქალაქეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე მცენარეთა მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 28 აპრილი, № 219.

ინდექსი — 76187

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2 1970 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
იურიდიული კომისია

ქაღალდის ფორმატი 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 4,5 სააღრიცხვო თაბახი 4

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

ტირაჟი 2350 შეკვეთა № 838

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.